



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 25/02/2020 №10; 13/08/2020 №32; და 23/12/2020 №43 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 141,108.1 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 142,167.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 154,255.8 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 140,992.8 ათასი ლარი.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID -19) პანდემიად გამოაცხადა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიისათვის მზაობისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, იმისათვის, რათა სახელმწიფომ შეასრულოს კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის მარტის თვეში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომელმაც თვის მხრივ შეანელა ეკონომიკური პროცესები და შესაბამისად შემცირდა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლები.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მოქალაქეთათვის დახმარებისა და შეღავათების გაწევის მიზნით, როგორც სამთავრობო ასევე ადგილობრივ დონეზე შემუშავებულ იქნა რიგი ღონისძიებები, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებზე. შემოსულობების მხრივ შემცირდა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, სხვა შემოსავლები შემცირდა ეკონომიკური აქტივობის კლების და მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული შეღავათების (მოსაკრებლები, ნებართვები და სხვა შემოსავლები) ხარჯზე. ხოლო გადასახდელების კუთხით პანდემიის პერიოდში ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებულ იქნა, ადმინისტრაციული, კულტურული, სპორტული და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯები, რომელიც მიმართულ იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა დახმარების და ქალაქისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალური/ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 30 811,4 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 7 879,4 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 28 702,9 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 4 928,2 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 494,7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 980,1 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 853,0 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება- 9 302,4 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 5 991,7 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 13 026,9 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 101,7 ათასი ლარი;

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 1,3 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4 021,4 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 1 236,9 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 1 433,5 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 504,7 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 315,6 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 20,7 ათასი ლარი.

✓ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა - 2 952,0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 10 027,2 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 703,5 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**

- ქალაქის ურბანული განვითარება - 8,6 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 42,2 ათასი ლარი;

✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 5,375.1 ათასი ლარი;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (5,984.3



ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (2 286,7 ათასი ლარი),
წვევამდელთა ტრანსპორტირება (6,6 ათასი ლარი).

I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქ. ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება	შესრულება-ის %
შემოსავლები	139,658.0	140,757.1	101%
გადასახადები	62,610.0	62,478.6	100%
გრანტები	60,777.6	60,777.6	100%
სხვა შემოსავლები	16,270.4	17,500.9	108%
ხარჯები	90,904.9	84,376.5	93%
შრომის ანაზღაურება	24,584.9	23,530.2	96%
საქონელი და მომსახურება	37,348.2	34,179.2	92%
პროცენტი	359.4	353.6	98%
სუბსიდიები	14,750.9	13,654.8	93%
გრანტები	15.5	5.9	38%
სოციალური უზრუნველყოფა	7,874.0	7,319.3	93%
სხვა ხარჯები	5,972.0	5,333.4	89%
საოპერაციო სალდო	48,753.1	56,380.6	116%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	59,954.0	53,272.8	89%
ზრდა	61,404.1	54,683.2	89%
კლება	1,450.1	1,410.4	97%
მთლიანი სალდო	-11,200.9	3,107.9	-28%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-13,147.7	1,174.8	-9%
ზრდა	0.0	1,174.8	-
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,174.8	-
კლება	13,147.7	0.0	0%
ვალუტა და დეპოზიტები	13,147.7	0.0	0%
ვალდებულებების ცვლილება	-1,946.8	-1,933.1	99%
კლება	1,946.8	1,933.1	99%
საშინაო	1,946.8	1,933.1	99%
ბალანსი	0.0	0.0	



*ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
(ათასი ლარი)*

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	141,108.1	142,167.5	100.8%
შემოსავლები	139,658.0	140,757.1	100.8%
არაფინანსური აქტივების კლება	1,450.1	1,410.4	97.3%
გადასახდელები	154,255.8	140,992.8	91.4%
ხარჯები	90,904.9	84,376.5	92.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	61,404.1	54,683.2	89.1%
ვალდებულებების კლება	1,946.8	1,933.1	99.3%
ნაშთის ცვლილება	-13,147.7	1,174.8	

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები**

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით დაწესებული შეზღუდვების შედეგად დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და ცალკეული ეკონომიკური შეღავათების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 142,167.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2020 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.8%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 62,478.6 ათასი ლარი (შემოსულობების 43.9%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 60,777.6 ათასი ლარი (შემოსულობების 21.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 17,500.9 ათასი ლარი (შემოსულობების 12,3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 1,410.4 ათასი ლარი (შემოსულობების 1,0%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).


**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები**

(ათასი ლარი)



№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	140,757.1	99.0%
1.1	გადასახადები	62,478.6	43.9%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	60,777.6	42.8%
1.3	სხვა შემოსავლები	17,500.9	12.3%
2	არაფინანსური აქტივების კლება	1,410.4	1.0%
ჯამი		142,167.5	100%


შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება	გადაზრა	შესრულება %
1	შემოსავლები	139,658.0	140,757.1	1,099.1	100.8%
1.1	გადასახადები	62,610.0	62,478.6	-131.4	99.8%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	60,777.6	60,777.6	0.0	100.0%
1.3	სხვა შემოსავლები	16,270.4	17,500.9	1,230.5	107.6%
2	არაფინანსური აქტივების კლება	1,450.1	1,410.4	-39.6	97.3%
ჯამი		141,108.1	142,167.5	1,059.5	100.8%


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	87,607.8	117,242.4	115,022.2	119,877.0	155,497.8	162,247.9	168,419.0	140,757.1
1.1	გადასახადები	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	80,404.6	62,478.6
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	54,416.5	76,387.1	63,170.7	51,564.0	82,154.5	81,242.1	38,463.2	60,777.6
1.3	სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2	17,500.9
2	არაფინანსური აქტივების კლება	553.4	362.6	1,626.2	5,064.7	13,139.7	4,779.7	8,824.4	1,410.4
3	ფინანსური აქტივების კლება				0.1		0.0	0.0	
სულ ჯამი		88,161.2	117,605.0	116,648.5	124,941.7	168,637.5	167,027.5	177,243.5	142,167.5







შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 139,658.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 140,757.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.8%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 62,478.6 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 62,610.0 ათასი ლარის 99.8%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 43.9%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	შესრულება				
											2020 წ. გეგმასთან		2019 წ. ფაქტთან		
											გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%	
1	საშემოსავლო გადასახადი				10,742.6	5,599.5	5,005.9								
2	დამატებული ღირებულების გადასახადები							50,467.5	41,314.0	43,114.3	1,800.3	104.4%	-7,353.2	85.4%	
3	ქონების გადასახადი	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	27,049.1	29,937.2	21,296.0	19,364.3	-1,931.7	90.9%	-10,572.8	64.7%	
3.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,754.2	2,129.7	1,700.0	2,152.8	452.8	126.6%	23.1	101.1%	
3.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	23,459.0	25,868.1	17,896.0	15,291.5	-2,604.5	85.4%	-10,576.6	59.1%	
3.3	მიწის გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,835.9	1,939.3	1,700.0	1,920.0	220.0	112.9%	-19.4	99.0%	
4	სხვა გადასახადები	2.7	1.0	-0.8											
	სულ	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	80,404.6	62,610.0	62,478.6	-131.4	99.8%	-17,926.1	77.7%	

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2020 წლის გეგმიური მაჩვენებელი 21,296.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 19,364.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.9%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	21,296.0	19,364.3	-1,931.7	90.9%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	17,896.0	15,291.5	-2,604.5	85.4%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,700.0	2,152.8	452.8	126.6%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,700.0	1,920.0	220.0	112.9%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 17,896.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 15,291.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.4%-ია.


ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 1,700.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 2,152.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 126.6%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,920.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 112.9%-ია.


(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი
სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	27,049.1	29,937.2	19,364.3
საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	23,459.0	25,868.1	15,291.5
ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,754.2	2,129.7	2,152.8
მიწაზე ქონების გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,835.9	1,939.3	1,920.0

ქონების გადასახადის 2020 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2019 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 10,572.8 ათასი ლარით (35%-ით) შემცირებულია. რაც გამოიწვეულია საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის, მიზნით დაწესებული შეზღუდვების შედეგად დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და ცალკეული ეკონომიკური შეღავათებით.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:






ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)




ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2013-2020 წლები)



დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული



ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2020 წლის გეგმიური მაჩვენებელი 41,314.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 43,114.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 104.4%-ია.



ფინანსური დახმარება და გრანტები

2020 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 60,777.6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 60,777.6 ათას ლარს, რაც გეგმის - 100% შეადგენს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2020 წელს მიღებულ იქნა - 29,785.0 ათასი ლარი, ხოლო სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული იქნა 4,789.0 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 26,203.6 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 42.8%-ია.



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	60,777.6	60,777.6	0.0
1.1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	26,203.6	26,203.6	0.0
	კაპიტალური ტრანსფერი	18,031.9	18,031.9	0.0
	სპეციალური ტრანსფერი	8,000.0	8,000.0	0.0
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	171.7	171.7	0.0
1.2	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	34,574.0	34,574.0	0.0
	სპეციალური ტრანსფერი	29,785.0	29,785.0	0.0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	4,789.0	4,789.0	0.0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2020 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 26,203.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 18,031.9 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2);**

- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 8,000.0 ათასი ლარი - არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე სატუმბო სადგურის მშენებლობის თანადაფინანსებისათვის.

- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 171.7 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 14 თებერვლის №81 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენადი შაინიძის, არტურ კასარჯიანის, ირაკლი ბერიძის, შალვა შენგელიას დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 36 722 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 36 722 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 22 ივლისის №367 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრის შედეგად დაზარალებული 8 ოჯახის, კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში



მცხოვრები ხასან კაკაბაძის, თეა აბულაძის, ირმა ჩიმაკაძის, სოფიკო იაკობაძის, კაკო ურუშაძის, შოთა ცეცხლაძის, ნინო აბულაძის და ირინა ედიგარიანის, მინდობილი პირი ჟანა ხაჩკალიანი დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 120 000 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 120 000 ლარი (100%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 27 აგვისტოს №644 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრის შედეგად დაზარალებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში, ანდრონიკაშვილის ქ. №40, ბინა 7-ში მცხოვრები მანანა თურმანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 15 000 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 000 ლარი (100%).

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები
სპეციალური ტრანსფერი**

„ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1570 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის №2535 განკარგულებით მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების შესრულების გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური ტრანსფერის სახით 29 785,0 ათასი ლარი.

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

2020 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 4,789.0 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 16,270.4 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17,500.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 107.6%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 12.3%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 5,536.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,298.4 ათასი ლარი) 104.5%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 1,291.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.



- დივიდენდებიდან მობილიზებულია 3,500.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებულ დივიდენდს.

- რენტის სახით მიღებულია 745.2 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 116.3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 628.9 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 5,785.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,672.0 ათასი ლარი) 102.0%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 5,781.5 ათასი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 1,320.7 ათასი ლარი.

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 1.3 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 1.0 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 1,724.5 ათასი ლარი, მათ შორის:

სათამაშო აპარატებიდან – 15.6 ათასი ლარი;


წამახალისებელი გათამაშებიდან – 47.2 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 1,250.0 ათასი ლარი;

კლუბის მაგიდიდან – 30.0 ათასი ლარი;

სამორინეს მაგიდიდან – 360.0 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 21.7 ათასი ლარი;





- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 2,247.3 ათასი ლარის ოდენობით.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 486.7 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 4.3 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,379.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,300.0 ათასი ლარის) 101.8%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 90.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 84.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 20.9 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 2,625.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 16.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 2.4 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 473.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 67.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 51.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 76.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 276.5 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 11.5 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 2.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 115.5 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 515.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) - 1.0 ათასი ლარი;



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების (ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) სახით მიღებულია 1,799.6 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1,000.0 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 180%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალს- 390.3 ათასი ლარი;

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 459.7 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 90.7 ათასი ლარი;

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 14.4 ათასი ლარი;


შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგას ამტებლოდან - 448.6 ათასი ლარი;

შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან- 0.3 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 5.4 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 390.4 ათასი ლარი;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების სტრუქტურა**



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)




დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	16,270.4	17,500.9	1,230.5
შემოსავლები საკუთრებიდან	5,298.4	5,536.4	238.0
პროცენტები	1,291.1	1,291.1	0.0
დივიდენდები	3,500.0	3,500.0	0.0
რენტა	507.3	745.2	237.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	150.0	116.3	-33.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	357.3	628.9	271.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5,672.0	5,785.8	113.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	5,672.0	5,781.5	109.5
სანებართვო მოსაკრებელი	1,296.8	1,320.7	23.9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	1.3	1.3
სასესიო საკლდეებზე სასასესო საათობის მოსაკრებელი	0.0	1.0	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,724.5	1,724.5	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,164.0	2,247.3	83.3
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	486.7	486.7	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	4.3	4.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.0	4.3	4.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,300.0	4,379.1	79.1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,000.0	1,799.6	799.6

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)



დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2	17,500.9
შემოსავლები საკუთრებიდან	3,824.3	3,243.4	3,347.7	1,431.1	1,993.5	3,840.7	4,337.5	5,536.4
პროცენტები	3,025.4	2,639.4	2,430.0	699.3	917.5	1,273.4	1,525.1	1,291.1
დივიდენდები						900.0	838.0	3,500.0
რენტა	798.9	604.1	917.7	731.8	1,076.1	1,667.3	1,974.4	745.2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	268.8	102.2	284.9	154.6	157.3	355.4	145.4	116.3
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	530.2	501.9	632.8	577.2	918.7	1,311.9	1,829.1	628.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11,702.6	16,340.6	22,932.9	25,445.3	34,028.1	38,689.4	36,480.9	5,785.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11,696.8	16,334.3	22,927.1	25,444.4	34,011.4	38,684.1	36,476.4	5,781.5
სანებართვო მოსაკრებელი	361.0	468.9	525.1	435.8	450.9	449.3	1,123.8	1,320.7
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.4	1.9	3.5	3.0	3.0	2.8	2.5	1.3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	11.4	5.0	3.4	2.4	4.4	2.0	3.0	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	9,544.7	13,644.9	20,167.5	21,835.4	30,630.2	36,174.5	31,967.1	1,724.5
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		943.5	687.5	1,458.6	1,074.0	238.9	636.8	2,247.3
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,755.9	1,270.1	1,540.0	1,709.3	1,848.7	1,816.6	2,743.1	486.7
სხვაარაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	22.50				0.2			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.8	6.3	5.8	0.9	16.7	5.3	4.6	4.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	5.8	6.3	5.8	0.9	16.7	5.3	4.6	4.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,906.3	4,871.8	4,901.6	4,187.9	4,947.8	4,486.2	6,527.8	4,379.1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,130.0	2,462.0	1,849.9	2,166.8	1,458.9	1,934.5	2,205.0	1,799.6



სხვა შემოსავლების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდი იყო, თუმცა 2020 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია პანდემიის (COVID-19) შედეგად სახელმწიფოს მიერ დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვებითა და შეღავათებით. 2020 წლის სხვა შემოსავლები 2019 წლის ფაქტიურთან შედარებით შემცირებულია - 32,050.3 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება

2020 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 1,410.4. ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (1,450.1 ათასი ლარის) 97,3% - ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 1%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 13,195.4 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 13,147.7 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,174.8 ათასი ლარი, შესაბამისად 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 14,370.2 ათას ლარს შეადგენდა.


დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2020		13,195.4
ნაშთის ცვლილება	-13,147.7	1,174.8
ზრდა	0.0	1,174.8
ვალუტა და დეპოზიტები		1,174.8
კლება	13,147.7	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	13,147.7	
ნაშთი 01.01.2021		14,370.2



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)

№	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13,358.6	11,713.0	87.7%	8.4%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,166.8	5,984.3	83.5%	4.3%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	5,756.8	5,375.1	93.4%	3.9%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	359.4	353.6	98.4%	0.3%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	75.7	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	19.9	6.6	33.2%	0.00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	39,235.2	35,072.1	89.4%	25.2%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	30.0	21.5	71.7%	0.0%
3.2	ტრანსპორტი	38,551.8	34,513.6	89.5%	24.8%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	653.4	537.0	82.2%	0.4%
4	გარემოს დაცვა	17,397.2	15,630.1	89.8%	11.2%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	9,923.0	9,302.4	93.7%	6.7%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	7,474.2	6,327.7	84.7%	4.6%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	36,724.1	34,993.0	95.3%	25.2%
5.1	ბინათმშენებლობა	1,648.4	1,341.8	81.4%	1.0%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4,626.6	4,248.0	91.8%	3.1%
5.3	წყალმომარაგება	22,652.4	22,375.2	98.8%	16.1%
5.4	გარე განათება	4,734.3	4,177.2	88.2%	3.0%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,062.4	2,850.8	93.1%	2.1%
6	ჯანმრთელობის დაცვა	3,297.3	2,984.9	90.5%	2.1%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	17,031.0	15,524.4	91.2%	11.2%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	11,063.3	9,962.4	90.0%	7.2%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	5,933.5	5,541.3	93.4%	4.0%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	34.2	20.7	60.5%	0.0%
8	განათლება	14,809.0	13,129.8	88.7%	9.4%
9	სოციალური დაცვა	10,436.7	10,005.7	95.9%	7.2%
გადასახდელების ჯამი		152,309.0	139,059.7	91.3%	100.0%



ქ. ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2020 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 13,358.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11,713.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 87.7%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 4.3%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 19.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6.6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 33.2%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 39,352.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 35,072.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 89.4%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 25.2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, დასაქმების ხელშეწყობისა და ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 17,397.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 15,630.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 89.8%. ამ სფეროში



გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 11.2%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 36,724.1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 34,993.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95.3%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 25.2%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 3,297.3 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 2,984.9 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 90.5%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.1%-ს.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 17,031.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 15,524.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.2%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 11.2%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 14,809.0 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 13,129.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 88.7%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9.4%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 10,436.7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 10,005.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.9%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7.2%-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)




№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	90,904.9	84,376.5	92.8%	59.8%
1	შრომის ანაზღაურება	24,584.9	23,530.2	95.7%	16.7%
2	საქონელი და მომსახურება	37,348.2	34,179.2	91.5%	24.2%
3	პროცენტი	359.4	353.6	98.4%	0.3%
4	სუბსიდიები	14,750.9	13,654.8	92.6%	9.7%
5	გრანტები	15.5	5.9	38.1%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	7,874.0	7,319.3	93.0%	5.2%
7	სხვა ხარჯები	5,972.0	5,333.4	89.3%	3.8%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	61,404.1	54,683.2	89.1%	38.8%
III	ვალდებულებების კლება	1,946.8	1,933.1	99.3%	1.4%
გადასახდელების ჯამი		154,255.8	140,992.8	91.4%	100%




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები

(საკასო შესრულება -140,992.8 ათასი ლარი)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები

(საკასო შესრულება 140,992.8 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 84,376.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,904.9 ლარის 92.8%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 59.8%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 23,530.2 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 16.7%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 34,179.2 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 24,2%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 353.6 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.3%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 13,654.8 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 9.7%.

გრანტებზე მიიმათა 5.9 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,319.3 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 5.2%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 5,333.4 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 3.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 54,683.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 61,404.1 ათასი ლარის 89.1%-ია, მთლიანი გადასახდელების – 38.8%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 1,933.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 1,946.8 ათასი ლარის 99.3%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 1.4%.



II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9,578.6	8,277.6	1,300.9	86.4%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,714.4	1,492.6	221.8	87.1%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,451.8	4,491.7	960.0	82.4%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2,306.2	2,286.7	19.5	99.2%
01 04	სარეზერვო ფონდი	0.5	0.0	0.5	0.0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	75.7	0.0	75.7	0.0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	19.9	6.6	13.3	33.2%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	10.0	0.0	10.0	0.0%
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	82,652.5	75,649.7	7,002.7	91.5%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	34,557.1	30,811.4	3,745.7	89.2%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	8,729.0	7,879.4	849.6	90.3%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	30,126.6	28,702.9	1,423.7	95.3%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	5,533.8	4,928.2	605.6	89.1%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	608.4	494.7	113.7	81.3%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	2,192.4	1,980.1	212.3	90.3%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	905.2	853.0	52.2	94.2%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	16,558.3	15,294.1	1,264.3	92.4%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	9,923.0	9,302.4	620.6	93.7%



03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,635.3	5,991.7	643.6	90.3%
04 00	განათლება	14,809.0	13,129.8	1,679.2	88.7%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	14,693.1	13,026.9	1,666.2	88.7%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	102.0	101.7	0.3	99.7%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	13.9	1.3	12.6	9.2%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	10,395.7	9,532.8	862.9	91.7%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,309.7	4,021.4	288.3	93.3%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	1,507.3	1,236.9	270.4	82.1%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	1,603.4	1,433.5	169.9	89.4%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,606.0	2,504.7	101.3	96.1%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	335.1	315.6	19.5	94.2%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	34.2	20.7	13.5	60.5%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14,448.0	13,682.8	765.2	94.7%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,202.3	2,952.0	250.3	92.2%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	10,466.7	10,027.2	439.4	95.8%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	779.0	703.5	75.5	90.3%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	67.0	50.9	16.1	75.9%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	22.0	8.6	13.4	39.1%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	45.0	42.2	2.8	93.9%
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	5,746.8	5,375.1	371.7	93.5%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	5,746.8	5,375.1	371.7	93.5%
გადასახდელბის ჯამი		154,255.8	140,992.8	13,263.0	91.4%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელბის) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის დანართის სახით (დანართი №3).



III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)
ხარჯებმა შეადგინა 1 492,6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 714,4 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 87.1%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 036,5 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 391,4 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 8,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 56,3 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 4 491,7 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5 451,8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 82.4%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2 913,0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1 465,9 ათასი ლარი, გრანტებზე - 5,9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 70,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 9,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 27,3 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 90,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 90,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 4,8 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 85,4 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული სესხის მომსახურება დასრულდა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 175,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 167,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 197,0 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 970,6 ათასი ლარის ოდენობით.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომელმაც თვის მხრივ შეანელა ეკონომიკური პროცესები და შესაბამისად შემცირდა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლები, აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილ იქნა შუამდგომლობა, საქართველოს მთავრობასთან მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების (2020 წლისათვის გადასახდელი ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადის ცვლილების თაობაზე, საურავების დარიცხვის გარეშე. რაც დაკმაყოფილებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 ივლისის N1226 განკარგულებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 041,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 028,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 151,9 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 877,1 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 19,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 33,2%. შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია წვევამდელთა გადაყვანის მომსახურების რაოდენობაზე, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით, მოხდა ქ. ბათუმში



რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. გაწვევის პუნქტამდე გადაყვანილ იქნა 143 წვევამდელი და ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებულა 18 რეისი.

➤ მიღწეული შედეგები:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება (პროგრამული კოდი 01 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება არ განხორციელებულა ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

➤ **პროგრამის აღწერა:** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ფულადის სახსრების დაზოგვის მიზნით მომსახურების შესყიდვა და დაფინანსება ხორციელდებოდა მხოლოდ აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით 2020 წელს დაფინანსება არ განხორციელებულა, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები დაფარულ იქნა სხვადასხვა საშუალებებით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მერიის თანამშრომლები, მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებთან ერთად, რეგულარულად უზრუნველყოფს მერიის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადებას, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

სარეზერვო ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 1,250,000 ლარს შეადგენდა, რაც 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.81%-ია. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლიც არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნებებში.

2020 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 1,249,452 ლარი შეადგინა, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №4).**

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის აღსრულების ფონდი 100,000 ლარს შეადგენდა, ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 24,302 ლარი შეადგინა, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №5).**



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება დეტალური ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის.

პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 01-02 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 1 678,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 631,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.1%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩებში შეკეთდა 29979 კვ.მ. ორმული და 5040 კვ.მ. რკ.ბეტონის ფილა.

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები - ქუჩებში შეკეთდა 8005 კვ.მ. და გამაგრდა 9000 კვ.მ. ქვაფენილის საფარი; ტროტუარებზე შეიცვალა და შეკეთდა 150 გრძ.მ. დაზიანებული ბორდიური და 490 კვ.მ. დაზიანებული ფილა; შეკეთდა 60 ცალი დაზიანებული ბოძკინტი; შეიცვალა და დამონტაჟდა ახალი 20 ც. ბოძკინტი; შექმნილ იქნა და დამონტაჟდა 2 ცალი საკომუნიკაციო ჭების პოლიმერული სახურავი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის ფანჩატურების შექმნა (განლაგება) - ეზოებისათვის შექმნილ და განლაგებულ იქნა 22 ც. ფანჩატური.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის სკამების შექმნა (განლაგება) - ეზოებისათვის შექმნილ და განლაგებულ იქნა 30 ც. საბადე სკამი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დაიგო 30 268 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; შეიცვალა/შეკეთდა 714,5 კვ.მ. ფილა და 657 ც. ბორდიური; მოეწყო 4 ცალი სანიაღვრე ჭა და 33,5 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები; ჩაიდგა 11 ცალი საპარკე სკამი და სანაგვე ურნა.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.



მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 608,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 494,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მოვლა-პატრონობაში გასულ წელს პერიოდულად ხორციელდებოდა ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭა, ყველა სასაფლაოს განყოფილება უზრუნველყოფილია საცელავი აპარატითა და საწვავით, ასევე სუფთავდებოდა მისასვლელი ბილიკები, გზები. შეძენილი იქნა საჭირო სამუშაო იარაღები, სპეცტანსაცმელი. განხორციელდა ე.წ. ებრაელების სასაფლაოს გაწმენდა, საჭიროების შესაბამისად განხორციელდა სხვადასხვა სასაფლაოებზე მოვლა-პატრონობის სამუშაოები. მიმდინარეობს ჩაქვის სასაფლაოს ექსპლოატაციაში შესვლისათვის გეოლოგიური დასკვნის განხილვა.

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა- აღნიშნული ღონისძიებით განხორციელდა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა. მოხდა მათი რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება. გასულ წელს დაიკრძალა 22 უპატრონო მიცვალებული. ამავე ღონისძიების ფარგლებში მოხდა 62 კოვიდინფიცირებულის დაკრძალვა. კოვიდით დაავადებულთა დაკრძალვისათვის თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან 9500 ლარი გამოყოფილ იქნა ბრძანება N1356 29/10/2020 წლის შესაბამისად.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომია მუნიციპალური სასაფლაოების მომსახურეობა და სერვისი.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 473,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 327,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ადმინისტრირება და მართვა: გაიცა შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურეობის და სოციალური უზრუნველყოფის თანხები.



მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ N90ა-ში მდებარე შენობაში შეკეთდა ხანძრის შედეგად დაზიანებული ფართი და მოეწყო ინტერნეტ ქსელი.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 529,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 463,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,5.

➤ პროგრამის აღწერა:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 5 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 11 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 7 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შედგენილია 127 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 15 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 5 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია ერთი ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩაუტარდა სამ ერთეულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების და შენობა-ნაგებობების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩაუტარდა ცამეტ ერთეულ ავარიულ სახლსა და შენობა-ნაგებობას.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.



მიღწეული შედეგები:

მომზადდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 189,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 189,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%;

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ქალაქ ბათუმში ხ. ახვლედიანის (ჯინჭარაძის) ქ. #12-ში (აფეთქების შედეგად დაზარებული საცხოვრებელი სახლის) მცხოვრებ ოჯახებზე საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა.

➤ მიღწეული შედეგები:

შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემულია საკომპენსაციო თანხები.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 549,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 506,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

2019-2020 წელს დამონტაჟებული საახალწლო აქსესუარების და ნაძვის ხის დემონტაჟი - განხორციელდა 1 ნაძვის ხის და მანათობელი აქსესუარების, 8 ცალი დეკორატიული ლამპიონის, 7300 ცალი გირლიანდების, 600 ცალი დეკორატიული გირლიანდის, 14 ცალი დეკორატიული ჭადის, 1 ცალი წითელი დეკორატიული თაღის, 1 ცალი დეკორატიული ნაძვის ხე- „საჩუქრები“-ს, 3 ცალი დეკორატიული დელფინის, 6 ცალი დეკორატიული ბურთების, 1 ცალი დეკორატიული თოვლის კაცის დემონტაჟი და ტრანსპორტირება სამონტაჟო მოედნიდან დასაწყობების ადგილამდე.

2020-2021 საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - მოეწყო ნაძვის ხე; ქალაქის ქუჩებში, შენობების ფასადებსა და სკვერებში დამონტაჟდა 105 ცალი მანათობელი კონსტრუქცია, 4300 ცალი გირლიანდი, 674 ცალი საახალწლო აქსესუარი, 28 ცალი თაღოვანი კონსტრუქცია, 14 ცალი დეკორატიული ჭადი, 600 ცალი დეკორატიული გირლიანდი თაღებზე და 216 ცალი საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და აქსესუარები (ბულვარში); შეძენილ იქნა 2181 ცალი გირლიანდი.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: გზამყოფ ზოლებში მარტულელებისათვის აღმების დამზადება-მონტაჟი შემდგომი დემონტაჟით მთელი წლის განმავლობაში - 700 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგმტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა



და შემდგომში დემონტაჟი ორმაგი ცვეთით (1,5მX1,0მ-ზე.) - 44 ცალი; არასტანდარტული ზომის დროშების (9,0მX6,0მ) შეკერვა შემდგომი მონტაჟი-დემონტაჟით - 4 ცალი; ძეგლების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 7 ცალი; ბიუსტების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 16 ცალი; ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 8 ცალი.

ჟიული შარტავას მემორიალის გრანიტის ფილებით მოპირკეთება და 9 აპრილის მემორიალზე დაფის მონტაჟი - გამოცხადდა ტენდერი, რომლის სტატუსია არ შედგა ტენდერი.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 07 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 356,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 346,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

ღონისძიების ფარგლებში ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისათვის და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის სხვადასხვა სახის სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის მასშტაბით, საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი და ქუჩის მიმართულების მანიშნებელი ბანერების დამზადება-მონტაჟი განხორციელდა 15 ქუჩაზე, ასევე წლის განმავლობაში გაირეცხა და დასუფთავდა ბიუსტები, ძეგლები და ქანდაკებები.

გარდა ამისა, შეკეთდა მაღალსართულიანი კორპუსის სახურავი 53 მისამართზე, შეკეთდა საბაღე სკამები 179 ერთეული 57 მისამართზე, ფანჩატური 68 ერთეული 54 მისამართზე, სპორტული მოედანი 17 მისამართზე, ატრაქციონი 16 მისამართზე და შადრევანი 1 მისამართზე, იწმინდება ქალაქში არსებული შადრევნები 6 მისამართზე, შეიღება და დასუფთავდა კოლონადები ცენტრალურ პარკში.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.



ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 9 923,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9 302,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

➤ მიღწეული შედეგები:

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 977,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 547,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა - დაიფარა საოფისე ხარჯები და შეძენილ იქნა სამშენებლო მასალები.

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის დაიფარა ხარჯები.



ინასარიძის ქუჩა #3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 16 ცალი სანიაღვრე ჭა, 1,28 კვ.მ. სანიაღვრე ჭების რკინა-ბეტონის თავსახურები, 280,7 გრძ.მ. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის სანიაღვრე მილები, 1292 კვ.მ. ფილა, 797,3 გრძ.მ. ბორდიური, 190 კვ.მ. საბავშვო და სატრენაჟორო მოედანზე კაუჩუკის საფარი, 435 კვ.მ. მწვანე კორდი, 22 ცალი დეკორატიული სანათი, 10 კვ.მ. შადრევნის რკინა-ბეტონის ავზი და 400 გრძ.მ. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის წყალმომარაგების მილები.

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე არსებული სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები - მოეწყო 16 ცალი სანიაღვრე ჭა, 1,28 კვ.მ. სანიაღვრე ჭების რკინა-ბეტონის თავსახურები, 234,8 გრძ.მ. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის სანიაღვრე მილები, 1441,22 კვ.მ. ფილა, 1086 გრძ.მ. ბორდიური, ერთი ერთეული ახალი სავარჯიშო ტრენაჟორი, 15 ცალი საპარკე სკამი, 15 ცალი სანაგვე ურნა, 1900 კვ.მ. მწვანე კორდი, 20 ცალი გარე განათების ბოძი და ელ. ყუთი.

გონიო-კვარიათში ზღვისპირა ბილიკის (პრომინადის) მონაკვეთის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა - მოეწყო 9,1 კვ.მ. მონოლითური კიბეები და პანდუსები, 90 ცალი საპარკე სკამი და 45 ცალი სანაგვე ურნა.

ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. N74-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 10 ცალი სანიაღვრე ჭა, 0,64 კვ.მ. სანიაღვრე ჭების რკინა-ბეტონის თავსახურები, 99,2 გრძ.მ. პლასტმასის სანიაღვრე მილები, 944 კვ.მ. ფილა, 346,5 გრძ.მ. ბორდიური, ერთი ერთეული ბავშვთა სათამაშო მოედანი, 31,5 კვ.მ. დეკორატიული მოაჯირი, 22 ცალი დეკორატიული სკამი, 12 ცალი სანაგვე ურნა, 270 კვ.მ. მწვანე კორდი, 8 ცალი გარე განათების ბოძი სანათით და ელ. ყუთი.

ქ. ბათუმში, ი. კობლაძის ქ #9-ის მიმდებარედ, (ს.კ. 05.24.07.032) მიწის ნაკვეთზე სკვერის მოწყობა - მოეწყო 3,52 კვ.მ. სანიაღვრე ჭების რკინა-ბეტონის თავსახურები, 609 კვ.მ. ფილა და 415,25 გრძ.მ. ბორდიური.

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს (მომწოდებელს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია შესრულებულ სამუშაოებზე).

ელ. ენერჯის ქსელზე მიერთება - 9 მისამართზე განხორციელდა ელ. ენერჯის ქსელზე მიერთება.

ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 1057 გრძ.მ. სანიაღვრე არხი, 13 ცალი საკომუნიკაციო ჭა, 11433 კვ.მ. გრანიტის ბუნებრივი ფილა და 14660 კვ.მ. ბეჭდური ბეტონის არმირებული საფარი.

➤ მიღწეული შედეგები:

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3 269,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 156,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის



სამუშაოები მწვანე საფარის გაცეცხვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მორწყვა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეძენა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით; სასათბურე მეურნეობის აღდგენა-რეაბილიტაცია.

წარმატებები:

- 8 074 315 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა;
- დაირგო 1431 ახლი ხე-მცენარე;
- განხორციელდა 3184 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 93 ძირი ხე-მცენარის გადაბეღვა, 168 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა,
- ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს;
- 12 213 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა;
- შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ მიწა;
- განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით;
- ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 5025 გრძ.მ.
- 978201 ერთწლოვანი ყვავილის ჩითილის დარგვა."

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

➤ დაზუსტებული გეგმა - 1 389,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 287,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში მთელი 2020 წლის განმავლობაში ნაწილობრივ განხორციელდა ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის, ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის, ლანდშაფტური განაშენიანებისა და მეყვავილეობის დეპარტამენტების მცენარეთა კოლექციის შენარჩუნება-გაზრდის, მოვლა-პატრონობის მიმდინარე სამუშაოები. დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. ნაწილობრივ განხორციელდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ღონისძიებათა პროგრამა. ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო სრულად ვერ განხორციელდა



სხვადასხვა ღონისძიებებით გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორცაა კოლექციების პოპულარიზაციის მიზნით მოწყობილი გამოფენები, სხვადასხვა სამუშაო მიზნით დაგეგმილი მივლინებები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, წარმომადგენლობითი ღონისძიებები და სხვა. ბოტანიკური ბაღში პანდემიის გამოცხადებიდან წლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ბაღის ფუნქციონირებისათვის.

დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური, ზამთრის შედეგად დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდა კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგეებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. სანერგე მეურნეობის სათბურებში დაითესა ექსპედიციების შედეგად შემოტანილი ველური ფლორის სახეობების თესლები, განხორციელდა მცენარეთა ეტიკეტირება, შეგროვდა ადგილობრივი ფლორის სხვადასხვა სახეობის თესლები, მიმდინარეობდა ჰერბარიუმის ფონდის განახლება. აღწერილი იქნა მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და დასენიანებული მცენარეები, რისთვისაც შეძენილი იქნა აგროქიმიკატები და მცენარეთა დაცვის საშუალებები. კვლასათბურები გაიწმინდა, გადაიბარა, გაფხვიერდა და შეტანილი იქნა მინერალური სასუქი, დაიწყო თესვები, ჩატარდა ნიადაგდაცვითი სამუშაოები. მოხდა ბამბუკის პლანტაციაში დაზიანებული ეგზემპლიარების გამოჭრა და შიდა მოხმარებისათვის მარაგების შევსება.

პროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილია მატერილურ-ტექნიკური საშუალებებით; სანტექნიკური, საკანცელარიო, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელით (მათ შორის პირბადე, სადენზიფექციო ხსნარი და სამედი. ხელთათმანი). ბაღში დასაქმებული პერსონალისთვის შეძენილია სხვადასხვა სახის სპეც.ტანსაცმელი და აქსესუარები. უზრუნველყოფილია სატელეფონო, ინტერნეტკავშირის, რადიო-ტელეფონების და სპექტრული არხების გამართული მუშაობა, მოწესრიგებულია ბაღში არსებული საპირფარეშოები, უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი პუნქტისა და უბნის წყალმომარაგება და ელექტრომომარაგება. ბაღი უზრუნველყოფილია ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებებით, ყველა სატრანსპორტო საშუალებას ჩაუტარდა დროული სარემონტო სამუშაოები. დასრულებულია ბოტანიკურ ბაღში გორდუხიანის სკვერთან დაზიანებული მთავარი ასფალტო-ბეტონის სამარშუტო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები. შეძენილია 2 ერთეული ბენზო ხერხი და 2 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

პრიორიტეტი: განათლება



სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 13 157,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12 496,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა-აღმინისტრირება - I კვარტალში გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, თუმცა, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის გამო, 2020 წლის II-IV კვარტალში ბათუმის საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი შეჩერებული იყო. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ბათუმის ბაღების გაერთიანებამ უმოკლეს ვადაში შექმნა ონლაინ მეთოდოლოგიის პლატფორმა, რომელიც გულისხმობს ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით გათვალისწინებული მასალის დისტანციურად მიწოდებას აღსაზრდელებისათვის და მათი მშობლებისათვის. საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალმა, გაერთიანების მიერ შექმნილი კომპეტენტური ჯგუფის ხელმძღვანელობით, შექმნა ათეულობით მაღალი ხარისხის სასწავლო-სააღმზრდელო ვიდეორგოლი, რომლითაც აღსაზრდელებს მიეწოდებოდათ ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა და რომელმაც გამოყენება ჰპოვა არა მხოლოდ ჩვენ მუნიციპალიტეტში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება და ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება, მაგრამ არ შეჩერებულა აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის ღონისძიება. ქ. ბათუმის მუნიციპალური საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ინტერესების დაცვისა და მათი სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფისათვის ოჯახების დახმარების მიზნით, ქ. ბათუმის მერის 2020 წლის 19 მარტის #276 ბრძანებით, განხორციელდა არამალფუჭადი კვების პროდუქტების შესყიდვა და მიწოდება აღსაზრდელთა ოჯახებისათვის.

თანამშრომელთა ტრენინგები - მიმდინარე წლის მაისი თვეში დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებული ქოუჩინგის პროგრამა "სკოლამდელი განათლების სტანდარტების დანერგვა აჭარის საპილოტე ბაღებში". ქოუჩინგი-ტრენინგი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს 5 საპილოტე ბაღში:#27, 30, 34, 10 და 25. ასევე საბავშვო ბაღებში განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება საბავშვო ბაღებში კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების კუთხით, ონლაინ ტრენინგის მასალა მომზადდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - N7,10,11,13,15,22,23,25,28,29,,32,33 საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს იატაკის მოწყობის (ლამინატის დაგება) სამუშაოები. N3,4,5,7,8,9,10,11,12,13,14,15,20,22,25,26,28,29,30,31,32 საბავშვო ბაღებში გამხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მონტაჟი.



მიღწეული შედეგები:

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად ფუნქციონირებს.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 535,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 530,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 34,5%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთის მხრივ მიმწოდებელ კომპანიაზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები 2020 წელს არ ანაზღაურებით (დაფინანსებისათვის საჭირო დოკუმენტი დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი) და მეორეს მხრივ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის (სამუშაოების შესრულების) დარღვევის გამო, რისთვისაც კომპანიას დაერიცხა სანქციები ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - ბეტონის მოსამზადებელი ფენის ქვეშ შეტანილ იქნა 100 კბ.მ. ქვიშა ხრეშოვანი ნარევი; საძირკვლის ქვეშ მოეწყო 94,7 კბ.მ. ბეტონის მონოლითური საფუძველი; მოეწყო 269 კბ.მ. ბეტონის ხიმინჯები, 555,5კბ.მ. რკინა ბეტონის მონოლითური ფილა, 41,26 კბ.მ. რკინა ბეტონის სვეტები, 14 კბ.მ. რკინა ბეტონის კიბე, 105,68 კბ.მ. კედელი, 118,12 კბ.მ. ტიხარი და 177 გრ.მ. ლითონის ღობე ჭიშკრებით და აქსესუარებით; შეიღესა 137 კვ.მ. შიდა ახალი კედლები და 98 კვ.მ. ფასადი.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება. წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის



ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები
წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (მერია) - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა

მიღწეული შედეგები:

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ - საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა პროექტი და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მ.წ. 13 იანვრის N8 ბრძნებით დამტკიცდა „დებულება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“; საანგარიშო წლის იანვრის თვეში შემოვიდა ერთი განაცხადი. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით განაცხადი შემოიტანა ფ/პ მერი გელაძემ.მ.წ.20 იანვარს გაიმართა საკონკურსო სხდომა სხდომის ოქმი №1, 20.01.2020წ.) და კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად. მერი გელაძე მ.წ. 3-29 თებერვლის ჩათვლით, იმყოფებოდა საფრანგეთში, ქ. კლერმონ ფერანში ესტანგის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში საერთაშორისო ენდოსკოპიურ-ქირურგიულ ცენტრში, სამედიცინო ფაკულტეტზე და ესტანგის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ქირურგიულ-გინეკოლოგიურ საოპერაციო ბლოკში პროფესიულ საკვალიფიკაციო სტაჟირებაზე. ბენეფიციარი დაბრუნდა სტაჟირებიდან და წარმოადგინა სტაჟირებაში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარება და პროფესიული ზრდა.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.



➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. საანგარიშო წლის პირველ კვარტალში დადგემილი იყო კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღება; 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღების წარმოებდა 2020 წლის 2-31 მარტის ჩათვლით. მომზდდა პროექტი და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მ.წ. 13 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცდა დებულება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“, ხოლო ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით და გადაადგილების შეზღუდვების დაწესების გათვალისწინებით, სტუდენტების მხარდაჭერის თვალსაზრისით (საბუთების მოწოდების სირთულეებიდან გამომდინარე), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მ.წ. 1 ივნისის N417 ბრძანების საფუძველზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა მიმდინარე წლის 2 მარტიდან 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში.

აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 100 (ასი) სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 13 (ცამეტი) განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.87 (ოთხმოცდაშვიდი) სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია უნდა გაიცეს 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო 50 სტუდენტზე. დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 23-მმა სტუდენტმა (არქეოლოგიის მიმართულებით -1; ეკოლოგიის მიმართულებით - 1; მშენებლობის მიმართულებით - 7, არქიტექტურის მიმართულებით - 14). აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს. დარჩენილი 27 (ოცდაშვიდი) ვაკანსია შეივსო სტუდენტებით, რომელთაც 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო აკადემიური შედეგები გააჩნდათ, კერძოდ, 98.33 ქულა და მეტი.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ 50 (ორმოცდაათი) სტუდენტზე მ.წ. ივლისის თვეში გაიცა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია. თითოეულ სტუდენტზე 200 ლარის ოდენობით. თითო სტუდენტმა ერთდროულად მიიღო ოთხი სასწავლო თვის სტიპენდია.

მეორე ეტაპზე ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2020 წლის 5-30 ოქტომბრის ჩათვლით.აღნიშნულ პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 70 (სამოცდაათი) განაცხადი, რომელთაგან ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 65 (სამოცდახუთი) განაცხადი, 5 (ხუთი) განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. 65 (სამოცდახუთი) სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო 50 სტუდენტზე.



დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 20-მა სტუდენტმა (არქეოლოგიის მიმართულებით -1; ეკოლოგიის მიმართულებით - 1; მშენებლობის მიმართულებით - 5, არქიტექტურის მიმართულებით - 13). აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს.

დარჩენილი 30 (ოცდაათი) ვაკანსია შეივსო სტუდენტებით, რომელთაც 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო აკადემიური შედეგები გააჩნდათ, კერძოდ, 96.83 ქულა და მეტი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

წახალისებულია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელი სტუდენტები.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 13,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 9,2%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება“ მიმდინარეობდა მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ვინაიდან ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების აღკვეთის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდა ონლაინ სწავლების რეჟიმზე.

2. მოსწავლეთა დაფინანსება - ქვეყანაში კორონა ვირუსის გავრცელების შეზღუდვის პრევენციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე შეჩერებულია აღნიშნული ღონისძიება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 84,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 75,8 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 89,8%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ეზოს ფეხბურთი -ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე იანვრის თვიდან მიმდინარეობს ღონისძიება „ეზოს ფეხბურთი, რომლის ფარგლებშიც ქალაქის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა ბიჭების 10 და გოგონების 2 ასაკობრივი გუნდი. აქტივობებში ჩართული იყო 400 მოზარდი.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციის მიზნით 02 მარტიდან ღონისძიების განხორციელება დროებით შეჩერდა, მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - აუტიზმის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშები იანვარში განახლდა. ერთ საათიანი ხანგრძლივობის ვარჯიშები კვირაში ორჯერ, ქ. ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის დახურულ დარბაზში ტარდებოდა და სულ ჩართული იყო 60 ბავშვი.

ახალი კორონავირუსის თავიდან აცილების მიზნით ქვეყანაში შემუშავებული რეკომენდაციებისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის გამოცხადების საფუძველზე, სკოლაში მუშაობა შეჩერებულია, მწვრთნელებზე და ექიმზე გაცემულია ხელფასები.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 36,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 36,6 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1) ღონისძიება „წლის სპორტსმენი“ - კლუბების მიერ წარმოდგენილი განაცხადებიდან კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდა 35 გამარჯვებული. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 დეკემბრის 14.14203604 ბრძანებით გამოიყო ჯამში 13100,00 ლარი. ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცა 35 წარმატებულ სპორტსმენსა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს.

2) ღონისძიება „ჯილდო სპორტული წარმატებისთვის“ - ფარგლებში გამოვლინდა 46 გამარჯვებული. დასაჯილდოებელ პირთა დაფინანსების მიზნით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 24 დეკემბრის 14.142035917 ბრძანებით გამოიყო ჯამში 20 000,00 ლარი. ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცა 46 პირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენების/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდების და მათი მწვრთნელების მხარდაჭერა და სტიმულირება.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 860,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 633,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს „სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - 1. სარაგბო კლუბ ბათუმის უმაღლესი გუნდის 3 მორაგბემ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, ძირითადად გუნდის დაგეგმილი თამაშებისა და თუ ჩემპიონატის გაგრძელება, პანდემიის გავრცელების გამო სრულად ვერ მოხდა.

2. 2019-2020 წლის სეზონზე გუნდმა ვერ ითამაშა, ვინაიდან საქართველოს დიდი 10-ის ჩემპიონატი პანდემიის გავრცელების გამო შეჩერდა. გუნდები აქტიურად ემზადებოდნენ ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებისთვის. 2020-2021 წლის საქართველოს დიდი 10-ის ჩემპიონატში ოქტომბრის თვეში დაიწყო და პირველი წრე მე-4 ადგილით იასპარეხეს, 2019-2020 წწ, ჭაბუკთა გუნდები აქტიურად ემზადებოდნენ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, კორონა ვირუსის გამო გადაიდო ყველა თამაში, ისინი აქტიურად ემზადებოდნენ მონაწილეობის მიღებისთვის, 2020-2021 წწ ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობენ ჭაბუკთა გუნდებიც, საფესტივალო ასაკის ბავშვები პანდემიის გავრცელების გამო შეჩერდა ჩემპიონატი, ტარდებოდა დისტანციური ვიდეო ვარჯიშები.

შპს „ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - 1. ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა: ა) გაიცა ხელფასები 3 ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალზე, 14 სპორტსმენზე და 2 ძირითადი გუნდის მწვრთნელზე. ბ) საქართველოს ხელბურთის 30-ე ეროვნულ ჩემპიონატში კლუბის წევრების მონაწილეობის მიზნით, 19 პირი მივლინებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, წყალტუბო) ვინაიდან ჩემპიონატი დაყოფილია ორ ზონად (დასავლეთი და აღმოსავლეთი). გ) კლუბმა შეისყიდა სპორტული ინვენტარი (ბურთები). დ) გადახდილია ტრანსფერი 2 სპორტსმენზე. ე) 2020 წლის ივლისის თვეში დაბა ურეკში ჩატარდა საქართველოს მეშვიდე ჩემპიონატის პირველი ტური, ხოლო აგვისტოს თვეში მეორე ტური პლიაჟის ხელბურთში. მონაწილეთა ასაკი შეზღუდული არ იყო და მონაწილეობდა როგორც ასაკობრივი ჯგუფის 2004-2005წწ დაბადებული გოგონები, ასევე უაღლესი ლიგის კაცები. ვ) უმაღლესი ლიგის მოთამაშეებმა ვარჯიშები განაახლეს ქ. თბილისში "სპორტულ კომპლექსს გლდანში. ზ) 2020 წლის ნოემბრის თვეში გაიმართა საქართველოს 2020 წლის თასის გათამაშება. ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“ ფინალში 30-25 დაამარცხა ხელბურთის კლუბი ქუთაისი და საქართველოს თასი მესამედ მოიპოვა 2015 და 2019 წლების შემდეგ. თ) 2020 წლის დეკემბრის თვეში დაიწყო საქართველოს ხელბურთის 31 -ე ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ტურის მონაწილეთა ბათუმის "შავი ზღვის ბიჭებმა". 4 თამაშიდან ოთხივე გამარჯვებით დაასრულა და სატურნირო ცხრილის სათავეში დგას.

2. ხელბურთის კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით: ა) გაიცა ხელფასები 5 მწვრთნელზე. ბ) ბათუმის კლუბს ჰყავს 2 გოგონათა (2004-05; 2006-07წწ) და ვაჟთა (2006-07წწ) ასაკობრივი გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს 2019-20 წლების ახალგაზრდულ ჩემპიონატებში. ეს ჩემპიონატებიც იყოფა ორ ზონად (დასავლეთი, აღმოსავლეთი) და ტარდება სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, წყალტუბო, სენაკი). ამ ეტაპზე ახალგაზრდულ ვაჟთა (06-07წწ)



გუნდი 1 ადგილზეა, გოგონათა (04-05წწ) გუნდიც 3 ადგილზეა. გ) კლუბის ახალგაზრდული გუნდები გადიან რეგულარულ ვარჯიშებს. დ) სექტემბრის თვიდან კი კლუბის ასაკობრივი ჯგუფები ისევ გადავიდნენ ონლაინ ვარჯიშებზე. ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი - კლუბის ასაკობრივი ჯგუფები ისევ აგრძელებენ ონლაინ ვარჯიშებს.

შპს „საკალათბურთო კლუბი ბათუმი 2010“ - 2020 წლის I კვარტალში კლუბი „ბათუმი 2010-ს“ ჰქონდა 5 შეხვედრა საქართველოს ჩემპიონატზე კალათბურთში, აქედან იყო 2 გასვლითი და ორი თამაშიდან ერთი თამაში არის ბათუმი 2010-ის ანგარიშზე, ხოლო რაც შეეხება ადგილზე შეხვედრისას 3 თამაშიდან სამივე თამაში ბათუმი 2010 -ის სასარგებლოდ. პირველი კვარტლის მონაცემებით საკალათბურთო კლუბი "ბათუმი 2010"-ის გუნდი იყო პირველ ადგილზე.

წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება შეფერხდა პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენების გამო."

შპს „წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - წყალბურთის კლუბის „ბათუმი“ ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა: ა) გაიცა ხელფასები: 28621 ლარი ადმინისტრაციულ და 32487 ლარი ძირითადი გუნდის მწვრთნელზე. ბ) მივლინება ქ. თბილისში , 14 წყალბურთელი და 2 მწვრთნელი, საქ. ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, 4635 ლარი. გ) კლუბის წევრების მოსამზადებლად საცურაო აუზის ქირა 25482.50 ლარი. დ) edocument-ით სარგებლობის საფასური 123.53 ლარი.

შპს „ფრენბურთის კლუბი ბათუმი“ - 2020 წლის იანვარში თბილისში ჩატარდა საქართველოს 29 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური სადაც პირველ ადგილზე გავიდა ბათუმის გუნდი (ქალები). 2. 2020 წლის თებერვალში ბაკურიანში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში სადაც მესამე ადგილზე გავიდა ბათუმის გუნდი (ქალები). 3. 2020 წლის თებერვალში ბაკურიანში ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში სადაც პირველი ადგილზე გავიდა ბათუმის გუნდი (ქალები).

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 187,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 139,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

კლუბის წევრებმა მიიღეს პირველ-მეოთხე კვარტალში ყოველთვიური შრომის ანაზღაურება. პირველი კვარტალი: წლის დასაწყისში ინდივიდუალური მომზადება გაიარა ფიდეს ოსტატებმა ირაკლი ახვლედიანმა და ნატა ჯიბუტმა, აგრეთვე საქართველოს სასკოლო ასაკობრივი ჩემპიონატის პერიოდში (20-28.01.2020, თბილისი) კლუბის წარმატებულმა ნორჩმა წევრებმა, მარიამ კალანდაძემ, შოთა ცეცხლაძემ და ანეტა ქედელიძემ საერთაშორისო დიდოსტატ დავით ჯოჯუასთან. იანვრის თვეში სხვადასხვა ასაკის ნორჩმა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საკვალიფიკაციო ტურნირებში.



თებერვალში გამართულ აჭარის ასაკობრივი ჩემპიონატებში, აგრეთვე რაპიდ ტურნირში "შოთა ჭურჭვიძის თასი" (08.02.2020) და ბლიც ტურნირში "თენგიზ ხალვაშის თასი" (09.02.2020) ყველა ასაკობრივ კატეგორიაში წარმატებით ასპარეზობდნენ კლუბი ნონას წევრები. დედის დღისადმი მიძღვნილ ტურნირში მშობლებისთვის (03.03.2020) მსაჯობდნენ ნორჩი წევრები: გიორგი ჭანტურია, მარიამ კალანდაძე, ნატალი აბულაძე და თიკო ბერაია. კლუბის მწვრთნელს თენგიზ დიდმანიძეს მიენიჭა C კატეგორიის მწვრთნელის სტატუსი. მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალი: ანეტა ქედელიძე ინდივიდუალურ მომზადებას გადის საერთაშორისო დიდოსტატთან დავით ჯოჯუასთან. აჭარის ასაკობრივი ჩემპიონატების პრიზიორები (საქართველოს ჩემპიონატის საგზურით) კლუბის ძირითადი მწვრთნელების გარდა ემზადებიან GM დავით ჯოჯუასთან. კლუბის მენეჯერს მარიკა ჯაფარიძეს ფიდეს მაღალი და მრავალმხრივი წოდებებიდან გამომდინარე, ყველაზე პოპულარული საჭადრაკო პლატფორმის Chess.com -ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ბრილიანტის წევრის სტატუსი მიენიჭა, რაც მას აძლევს უფასოდ ონლაინ ტურნირებისა და მასტერ კლასების ორგანიზების საშუალებას. Chess.com-ზე შექმნილ საჭადრაკო კლუბი ნონას ოფიციალურ გვერდზე გრძელდება კლუბის წევრების რეგისტრაცია (პირველ ეტაპზე დაოსტატების და მოსამზადებელი ჯგუფის წევრების), კლუბმა უკვე ჩაატარა ჯამში 6 ონლაინ საჭადრაკო ტურნირი. მეთვალყურეობისთვის გამოყენებული იყო პარალელურად აგრეთვე პლატფორმა Zoom. თითოეულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო კლუბის 20-მდე ნორჩმა მოჭადრაკემ.

გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფარგლებში განხორციელდა არსებულ ვითარებასთან ადაპტირებული პროექტის - საერთაშორისო დიდოსტატის, ფიდეს სენიორ ტრენერის დავით ჯოჯუას თემატური ვიდეო გაკვეთილების ციკლის - პირველი და მეორე ვიდეო გაკვეთილის ჩვენება პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით (30 ივნისი და 27-28 სექტემბერი, 2020 წ.), მასტერ კლასში მონაწილეობა მიიღო კლუბის წარმატებულმა 20-მდე ნორჩმა მოჭადრაკემ. კლუბის მიერ ორგანიზებულმა ონლაინ ტურნირებმა და თემატურმა ვიდეო გაკვეთილმა დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა. უახლოეს პერიოდში იგეგმება მეგობრული მატჩების ორგანიზებაც საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ საჭადრაკო კლუბებთან/სკოლებთან. ამჟამად ერთადერთ ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენს პროგრამა Zoom-ის ლიცენზირებული პაკეტის არ ქონა, რაც ტურნირის ან მასტერ კლასის პროცესში იწვევს ყოველ 40 წთ-ში კავშირის გაწყვეტას და ხელახალი დაკავშირების აუცილებლობას. ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს ამ საკითხის მოსაგვარებლად მოლაპარაკებები და სამუშაოები. კლუბმა ნონამ ახალი პროექტი წამოიწყო: "ჩაატარე თემატური მასტერკლასი". რომელშიც თავად კლუბის წევრები შეძლებენ ლექტორის ფუნქციის მორგებას შერჩეულ თემებზე მასალის მომზადებას/დამუშავებას და თანაჯგუფელებისათვის მასტერ კლასის ჩატარებას. ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით: (20 ივლისი, 2020 წ.) კლუბმა ნონამ ფიდეს საყოველთაო კომპანიაში "ვასწავლოთ თუნდაც ერთ ადამიანს ჭადრაკის თამაში" მიიღო მონაწილეობა და პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით ჩაატარა ორიგინალური ონლაინ გაკვეთილი დამწყებთათვის. აღნიშნულ გაკვეთილს კლუბის მწვრთნელები შემოუერთდნენ ჭადრაკის სწავლის მსურველი ბავშვებით. გაკვეთილის ამსახველი ფოტო მასალა ატვირთული იყო საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილ ფიდეს ოფიციალურ გვერდზე.

მეოთხე კვარტალში კლუბმა მოაგვარა პროგრამა Zoom-ის ლიცენზირებული პაკეტის შეძენის საკითხი, რამაც ონლაინ ტურნირების და ვიდეო მასტერ კლასების



შეუფერხებლად გამართვის საშუალება მოგვცა. კლუბმა ორგანიზება გაუწია საახალწლო ონლაინ ტურნირს და ჩაატარა ონლაინ წესების მასტერ კლასი პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით (27.12.2020) უახლოეს პერიოდში იგეგმება მეგობრული მატჩების ორგანიზებაც საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ საჭადრაკო კლუბებთან/სკოლებთან. კლუბმა ნონამ ახალი პროექტები წამოიწყო: "ჩაატარე თემატური მასტერკლასი". რომელშიც თავად კლუბის წევრი ბავშვები შეძლებენ ლექტორის ფუნქციის მორგებას შერჩეულ თემებზე მასალის მომზადებას/დამუშავებას და თანაჯგუფელებისათვის მასტერ კასის ჩატარებას. აგრეთვე ვიდუო გაკვეთილების-თემატური მასტერ კლასების სერია საერთაშორისო დიდოსტატთან დავით ჯოჯუასთან. კლუბის დიდოსტატმა წევრებმა იასპარეზეს ონლაინ ტურნირებში "ნონა გაფრინდაშვილის თასი" (03-15.11.2020) და საქართველო-პოლონეთს შორის გამართულ მეგობრულ მატჩებში რაპიდსა და ბლიცში (20-22.11.2020). კლუბის წარმატებულმა ბავშვებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში გამართულ ონლაინ ჩემპიონატებში სტანდარტში, რაპიდსა და ბლიცში (03.10-21.12.2020), მაია ჩიბურდანიძის ონლაინ ტურნირებში (11.10-15.11.2020), საქართველოს ფედერაციის - "ჩიკვაიძის თასი" (25-28.12.2020, საქართველო-პოლონეთს შორის გამართულ ონლაინ საჭადრაკო ფესტივალში "კრისტინა რადზიკოვსკას მემორიალი (19-20.11.2020) და საქართველო აზერბაიჯანს შორის გამართულ ონლაინ ტურნირში (22-23.12.2020). ბავშვებმა შეძლეს საპრიზო ადგილების მოპოვებაც და გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მიუხედავად იმისა რომ ბათუმის საჭადრაკო კლუბმა ნონამ საქართველოში ვირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესი 02 მარტიდან შეაჩერა. კლუბი ნონა მაშინვე გადავიდა დისტანციური შრომის პირობებზე და ჯგუფებთან მუშაობა არ შეუჩერებია. ყველა მწვრთნელი ჯგუფებთან მუშაობს Zoom-ის, Skype -ის და Facebook-ის მეშვეობით. მასწავლებლები ხსნიან ახალ გაკვეთილებს, სისტემატურად კლუბის ფეისბუქის ჯგუფის გვერდზე ანთავსებენ საჭადრაკო ამოცანებს და ამოწმებენ ამოხსნებს.

პირველი კვარტალი: საქართველოს სასკოლო ჩემპიონატი (20-28.01.2020, თბილისი) 9 წლამდე გოგონებში ანეტა ქედელიძე -V ადგილი. 11 წლამდე გოგონები მარიამ კალანდაძე VIII ადგილი. აჭარის ჩემპიონატი 8, 12, 16 წლამდე (01-07.02.2020) 8 წლამდე- არჩილ ფუტკარაძე - III ადგილი, ანეტა ქედელიძე II ადგილი, 12 წლამდე- გიორგი ჭანტურია - III ადგილი, მარიამ კალანდაძე - I ადგილი, ნატალი აბულაძე - III ადგილი, თიკო ბერაია - IV ადგილი, 16 წლამდე- გოგა ლორთქიფანიძე - II ადგილი. აჭარის ჩემპიონატი რაპიდში - "შოთა ჭურკვიძის თასი" (08.02.2020) 8 წლამდე- ანეტა ქედელიძე I ადგილი, არჩილ ფუტკარაძე - II ადგილი, სანდრო მამულაძე - III ადგილი, 12 წლამდე - გიორგი ჭანტურია - II ადგილი, მარიამ კალანდაძე I ადგილი, ნატალი აბულაძე - II ადგილი, 16 წლამდე- გოგა ლორთქიფანიძე II ადგილი, აჭარის ჩემპიონატი ბლიცში - "თენგიზ ხალვაშის თასი" (09.02.2020) 8 წლამდე- არჩილ ფუტკარაძე - III ადგილი, ანეტა ქედელიძე I ადგილი, 12 წლამდე- შოთა ცეცხლაძე - II ადგილი, გიორგი ჭანტურია - V ადგილი, მარიამ კალანდაძე I ადგილი, ნატალი აბულაძე - IV ადგილი, 16 წლამდე- თორნიკე თედორაძე - II ადგილი, გოგა ლორთქიფანიძე - IV ადგილი. ჭადრაკის ტურნირში - ბსუ პირველობა (26.02.2020): I-II ადგილები მოიპოვეს თედო ბოლქვაძემ და თენგიზ დიდმანიძემ. საერთაშორისო ნორმიან ტურნირში მსაჯობით (17-22.02.2020, ლვოვი) ნინო კველიძემ ფიდეს არბიტრის წოდებისთვის საჭირო მე-4 საბოლოო ნორმა შეასრულა. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში " I Open Terras de Tras os Montes - Macedo



de Cavaleiros" (05-08.03.2020, Portugal, პორტუგალია) კლუბის ახალგაზრდა წევრმა, ფიდეს ოსტატმა ირაკლი ახვლედიანმა - II ადგილი მოიპოვა. მეორე მესამე და მეოთხე კვარტალი: საქართველოს ასაკობრივი ონლაინ ჩემპიონატები: 12 წლამდე გოგონათა შორის სტანდარტი (25-29.10.2020) ნატალი აბულაძე - IV ადგილი; სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში: 10 წლამდე გოგონათა შორის (01-06.12.2020) მარიამ კალანდაძე რაპიდი-II ადგილი, ბლიცი-II ადგილი; 12 წლამდე გოგონათა შორის (11-15.12.2020) მარიამ კალანდაძე რაპიდი- I ადგილი, ბლიცი - VI ადგილი; 14 წლამდე გოგონათა შორის (18-22.12.2020) მარიამ კალანდაძე რაპიდი - III ადგილი. საქართველოს ფედერაციის "ჩიკვაიძის თასი (25-28.12.2020): 10 წლამდე გოგონათა შორის მარიამ კალანდაძე -IV ადგილი. ონლაინ ტურნირი "ნონა გაფრინდაშვილის თასი-2020" (03-15.11.2020) ფინალი WGM მირანდა მიქაძე -V ადგილი, IM სალომე მელია VII ადგილი.

მაია ჩიბურდანიძის ონლაინ ტურნირები: ღია ჩემპიონატი 2000 რეიტინგის და ზევით მქონე მოჭადრაკეებისათვის (11.10.2020) FM ირაკლი ახვლედიანი -II ადგილი; A ტურნირი 1200 რეიტინგიანებისთვის (08.11.2020) ნატალი აბულაძე -II ადგილი; A ტურნირი 1200 რეიტინგიანებისთვის (15.11.2020) ნატალი აბულაძე -I ადგილი. ონლაინ მეგობრული მატჩები: კლუბის წარმატებულმა ნორჩმა წევრმა მარიამ კალანდაძემ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღო ონლაინ მეგობრულ მატჩებში (10-18 წლამდე) რუმინეთთან სათადარიგო გუნდის წევრად (8 და 10 მაისი, 2020 წ.) და საბერძნეთთან გუნდის შემადგენლობაში 2 პარტია (12 და 14 მაისი, 2020 წ.) საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის საერთაშორისო დიდოსტატ დავით ჯოჯუას ხელმძღვანელობით. 03.07.2020 - ონლაინ მეგობრული მატჩი პლატფორმა ChessCom-ზე კლუბი ნონას ორგანიზებით, თბილისის GM დავით ჯოჯუას საჭადრაკო კლუბის ნორჩ წევრებს შორის (14-14). მატჩი კლუბი ნონას გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. კლუბის დიდოსტატმა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველო-პოლონეთს შორის გამართულ მეგობრულ მატჩებში რაპიდსა და ბლიცში. ჯამში 24 მატჩი გაიმარჯვეს 25-11 (20-22.11.2020); კლუბის წარმატებულმა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველო -პოლონეთს შორის გამართულ საჭადრაკო ფესტივალში "კრისტინა რადზიკოვსკას მემორიალი" 10 წლამდე გოგონათა შორის მარიამ კალანდაძე - I ადგილი; 8 წლამდე გოგონათა შორის ანეტა ქედელიძე -III ადგილი; 12 წლამდე გოგონათა შორის ნატალი აბულაძე - VII ადგილი და 12 წლამდე ჭაბუკთა შორის გიორგი ჭანტურია - X ადგილი (19-20.11.2020). ონლაინ მეგობრული ტურნირი საქართველო-აზერბაიჯანი (22-23.12.2020) 16 წლამდე ჭაბუკთა შორის გოგა ლორთქიფანიძე -I ადგილი, 10 წლამდე გოგონათა შორის მარიამ კალანდაძე -I ადგილი; 8 წლამდე გოგონათა შორის ანეტა ქედელიძე - I ადგილი; ბ კატეგორია მარიამ კალანდაძე II ადგილი და ნატალი აბულაძე -VIII ადგილი.

თემატური მასტერ კლასები: მარიამ კალანდაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის საგანდებოდ ჩატარებულ თემატურ მასტერ კლასებში: საერთაშორისო დიდოსტატ ლევან ფანცულაიასთან ლექციის თემა: როგორ მოვემზადოთ პარტიისთვის (15 მაისი, 2020 წ.); საერთაშორისო დიდოსტატ დავით ჯოჯუასთან ლექციის თემა: კომპიუტერის გავლენა თანამედროვე ჭადრაკზე; საერთაშორისო ოსტატ დავით ზარქუასთან ლექციის თემა: გაცვლა საჭადრაკო პარტიაში (29 ივნისი, 2020 წ.) საერთაშორისო ოსტატ ნიკოლოზ მანაგაძესთან, ლექციის თემა: პაიკთა სტრუქტურები (03 ივლისი, 2020 წ.); (05 ივლისი, 2020 წ.) კლუბი ნონას ორგანიზებით პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით, გაიმართა სემინარი-ონლაინ თამაშის წესების შესახებ. ლექტორი მარიკა ჯაფარიძე. ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან



დაკავშირებით: (20 ივლისი, 2020 წ.) კლუბმა ნონამ ფიდეს საყოველთაო კომპანიაში "ვასწავლოთ თუნდაც ერთ ადამიანს ჭადრაკის თამაში" მიიღო მონაწილეობა და პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით ჩაატარა ორიგინალური და სახალისო ონლაინ გაკვეთილი დამწყებთათვის. ლექტორი მარიკა ჯაფარიძე.

საერთაშორისო ონლაინ ვორქშოფები და ვებინარები: კლუბის დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ და მენეჯერმა მარიკა ჯაფარიძემ ონლაინ სივრცის, პლატფორმების შესაძლებლობების და დამკვიდრებული საერთაშორისო წესების გასაცნობად, ხოლო შემდგომში მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების მიზნით გაიარეს საერთაშორისო ონლაინ ვორქშოფები და ვებინარები: ფიდეს და რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ვებინარი თემა: ონლაინ ტურნირების მსაჯობის თავისებურებები" (05 ივნისი, 2020 წ.); ფიდეს და ევროპის საჭადრაკო კავშირის ერთობლივი ვორქშოფი თემა: ონლაინ ტურნირის მსაჯობისთვის ვრცელი მიმოხილვა (10 ივნისი, 2020 წ.); ევროპის საჭადრაკო კავშირის ვებინარი თემა: ქალბატონები ლიდერების როლში, ჭადრაკის სამყაროში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული ქალბატონების გზა (12 ივნისი, 2020 წ.); ფიდეს ვორქშოფი თემა: ფიდეს წოდებების მინიჭების პროცედურებთან და წესებთან დაკავშირებით (18 ივნისი, 2020 წ.); ევროპის საჭადრაკო კავშირის ვებინარი თემა: სამართლიანი თამაში, ანტიჩიტინგის წესები და თვალსაჩინო შემთხვევების განხილვა (26 ივნისი, 2020 წ.) ფიდეს არბიტრების კომისიის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ვებინარში, თემაზე: "არბიტრების შერჩევის კრიტერიუმები ფიდეს ტურნირებში." (28 სექტემბერი, 2020 წ.) კლუბის მენეჯერმა მარიკა ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო ფიდეს წესების კომისიის მიერ ორგანიზებულ ონლაინ სხდომაზე, (2 დეკემბერი, 2020 წ.) მწვრთნელთა სემინარი: კლუბის C კატეგორიის მწვრთნელებმა თენგიზ დიდმანიძემ, ნინო კეკელიძემ და ნათია ვაჩიშვილმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ, ფიდეს სენიორ ტრენერის, საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მთ. მწვრთნელის ელიზბარ უბილავას, ლიცენზირებულ მწვრთნელთა ონლაინ სემინარზე (10, 11 და 12 ივნისი, 2020 წ.) მწვრთნელებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

" კლუბი ნონას ონლაინ ტურნირები: დაოსტატების და მოსამზადებელ ჯგუფებში მომეცადინე შერეული ასაკის ბავშვებისთვის- (27 ივნისი 2020 წელი) ჭაბუკები: I ადგილი - გიორგი ჭანტურია, II ადგილი - შოთა ცეცხლაძე, III ადგილი - ლევან ჩხეტიანი. გოგონები: I ადგილი - ნატალი აბულაძე, II ადგილი - ანეტა ქედელიძე, III ადგილი - თიკო ბერაია. (28 ივნისი 2020 წელი) ჭაბუკები: I ადგილი - შოთა ცეცხლაძე, II ადგილი - გიორგი ჭანტურია, III ადგილი - ლევან ჩხეტიანი. გოგონები: I ადგილი - ნატალი აბულაძე, II ადგილი - თიკო ბერაია, III ადგილი - ანეტა ქედელიძე. (05 ივლისი 2020 წელი) ჭაბუკები: I ადგილი - თორნიკე შარვაშიძე, II ადგილი - გიორგი ჭანტურია, III ადგილი - შოთა ცეცხლაძე. გოგონები: I ადგილი - ნატალი აბულაძე, II ადგილი - მარიამ კალანდაძე, III ადგილი - თიკო ბერაია. (08 ივლისი 2020 წელი) ჭაბუკები: I ადგილი - შოთა ცეცხლაძე, II ადგილი - გიორგი ჭანტურია, III ადგილი - თორნიკე შარვაშიძე. გოგონები: I ადგილი - ნატალი აბულაძე, II ადგილი - მარიამ კალანდაძე, III ადგილი - ელისაბედ მიქაძე. დაოსტატების და მოსამზადებელ ჯგუფებში მომეცადინე ბავშვებისთვის-საახალწლო ტურნირი (27.12.2020) ჭაბუკები: I ადგილი - შოთა ცეცხლაძე, II ადგილი - გიორგი ჭანტურია, III ადგილი - ლევან მიქელაძე. გოგონები: I ადგილი - თიკო ბერაია II ადგილი - ელისაბედ მიქაძე. ""ბათუმი ევროპის სპორტის ქალაქი"" ფორმატში, ევროპის სპორტის კვირეული (23-29.09.2020) კლუბი ნონას სამდღიანი საჭადრაკო პროგრამა: (26.09.2020) ონლაინ ტურნირი: ჭაბუკები: I ადგილი - გოგა



ლორთქიფანიძე, II ადგილი - რატი აბულაძე, III ადგილი - გიორგი ჭანტურია. გოგონები: I ადგილი - ნატალი აბულაძე, II ადგილი - მარიამ კალანდაძე, III ადგილი - თიკო ბერაია. დაოსტატების და მოსამზადებელ ჯგუფებში მომეცადინე შერეული ასაკის ბავშვებისთვის. კლუბი ნონას თემატური მასტერკლასები-ვიდეო გაკვეთილი N1 და N2-ის ჩვენება: პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით (30 ივნისი და 27-28 სექტემბერი, 2020); (27 დეკემბერი, 2020 წ.) ონლაინ ტურნირამდე გაიმართა ზოგადი მიმოხილვა ონლაინ წესებთან დაკავშირებით; ლექტორი მარიკა ჯაფარიძე.

აჭარის ფედერაციის ონლაინ ტურნირები: (06.06.2020) 10 წლამდე გოგონები -I ადგილი მარიამ კალანდაძე, ჭაბუკებში -III ადგილი შოთა ცეცხლაძე; 16 წლამდე გოგონები -III ადგილი ნატალი აბულაძე; შოთა ჭურჭვიძის თასი (13.06.2020) 10 წლამდე გოგონები -I ადგილი მარიამ კალანდაძე, 12 წლამდე გოგონებში - III ადგილი ნატალი აბულაძე. (20-30.07.2020) საქართველოს ქალთა 77-ე ჩემპიონატში GM ნინო ბაციაშვილმა I ადგილი მოიპოვა და მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. IM სალომე მელია VI ადგილზე გავიდა. (10.08.2020) ონლაინ ტურნირი მათა ჩიბურდანიძის თასი-2020 ელვისებურ ჭადრაკში II-ეტაპი სალომე მელიამ IV ადგილი მოიპოვა. FM ირაკლი ახვლედიანმა საერთაშორისო ონლაინ ტურნირი მათა ჩიბურდანიძის თასი-2020 ელვისებურ ჭადრაკში (27.07.2020) I ეტაპი - I ადგილი და (14.09.2020) IV ეტაპი გრან პრი -II ადგილი. (22-28.08.2020) აჭარის პირველობა 10 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის: 10 წლამდე: შოთა ცეცხლაძე -II ადგილი; ლევან მიქელაძე -V ადგილი; მარიამ კალანდაძე -I ადგილი; 14 წლამდე: ნატალი აბულაძე -IV ადგილი. (22-28.08.2020) საქადრაკო ფესტივალი "ბათუმი-2020" შოთა ცეცხლაძე -III ადგილი. (03-11.09.2020) საქართველოს ჩემპიონატი 8 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის: ანეტა ქედელიძე -IX ადგილი. ონლაინ ტურნირი მათა ჩიბურდანიძის თასი-2020 13 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის: (13.09.2020) I ეტაპი ნატალი აბულაძე -V ადგილი; (19.09.2020) II ეტაპი მარიამ კალანდაძე - IV ადგილი.

მიღწეული შედეგები:

საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 141,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 136,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,6%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში გაიცა თანამშრომლებზე ხელფასები, შეძენილი იქნა ცხენებისათვის საკვები მარაგები და წამლები, თავლისათვის ნახერხი, ასევე 2 კვიცის შეფასების მიზნით დაგვჭირდა აუდიტორული მომსახურება.

კლუბმა ივლისის თვეში მონაწილეობა მიიღო აზაშის თასის გათამაშებაში დოღში სადაც დაიკავა II ადგილი; აგვისტოს თვეში მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს თასის გათამაშებაში კონკურში სადაც დავიკავეთ II და III ადგილები, აგვისტოს თვეში მონაწილეობა მივიღეთ სამტრედიის გრამპრის გათამაშებაში დოღში ავიღეთ II ადგილი; სექტემბრის თვეში მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს თასის გათამაშებაში



პროფესიონალ მხედრებს შორის კონკურში სადაც დავიკავეთ II და IV ადგილები. საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიგვიღია. IV კვარტალში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი. 15 ნოემბერს მონაწილეობა მივიღეთ ახაშაში გამართულ 2000 მეტრზე დოღში ინგლისური ჯიშის ცხენებს შორის, სადაც დავიკავეთ II ადგილი; ქალაქ თბილისში 18-19 დეკემბერს გამართულ კონკურში ახალგაზრდა ცხენებს შორის საქართველოს თასზე დავიკავეთ I ადგილი; აქვე საქართველოს თასზე უფროსი ასაკის ცხენებს შორის ავიღეთ IV ადგილი; ისევ თბილისში, საქართველოს თასზე 25 წლამდე ასაკის მხედრებს შორის ავიღეთ II ადგილი, ხოლო უფროსის ასაკის მხედრებს შორის დავიკავეთ IV ადგილი.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ ტურნირებში.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 205,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 140,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,6%;

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა და ადმინისტრირება - ჩატარდა ყინულის მოედნის საფარის რეაბილიტაცია, თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები, შევიძინეთ ბანერები და ოფისისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთები, ხოლო ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მართვა და ადმინისტრირების სხვა ღონისძიებები არ გატარებულა.

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - მოხდა ინფრასტრუქტურის მოწყობა ნიჩბოსნობის ტერიტორიაზე, კერძოდ, საკანალიზაციო სისტემის გამართვა, დამონტაჟდა ბოილერი, შეძენილია მომსახურე პერსონალისთვის სპეც-დანაშნულების ტანსაცმელი, ასევე განახლდა ტექნიკური ბაზა, შეძენილია ვიდეო სათვალთვალო სისტემა.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება- ყინულის მოედანზე ფუნქციონირებს ჰოკეის 2 ბავშვთა ჯგუფი. საწვრთნელი ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში ოთხი დღე, რომელშიც ჩართული იყო 40 -მდე აღსაზრდელი. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ქვეყანაში ამოქმედებული ღონისძიებების გამო, 2 მარტიდან მუშაობა შეჩერებულია ფიგურული ციგურაობისა და ყინულის ჰოკეის სექციებში, მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება - იანვრის თვიდან ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე განახლდა „ფიგურული ციგურაობის სექციის მუშაობა. ცენტრის ბაზაზე მოქმედებს 4-დან 15 წლამდე ბავშვთა ფიგურული ციგურაობის 15 ჯგუფი. საწვრთნელი ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში ოთხი დღე, რომელშიც ჩართული იყო 225 აღსაზრდელი. ახალი კორონავირუსის



(COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციის მიზნით 02 მარტიდან ღონისძიების განხორციელება დროებით შეჩერებულია, თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები.

სანიჰოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - პირველ კვარტალში მიმდინარეობდა სისტემატიური ვარჯიშები, ხოლო მეორე კვარტალში კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შეჩერებული იყო ვარჯიშები, ასევე გადაიდო ღონისძიებები. თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები.

ავტოდრომის განვითარების ხელშეწყობა - კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გადაიდო ღონისძიებები, ავტოდრომის თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები.

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა- ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე მოქმედებს ამპუტანტ ფეხბურთელთა 11 კაციანი გუნდი, რომელიც პირველ კვარტალში სისტემატიურად გადიოდა საწვრთნო პროცესს ხოლო პანდემიის გავრცელების გამო გადაიდო ვარჯიშები, მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები.

ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა-პირველ კვარტალში მიმდინარეობდა სისტემატიური ვარჯიშები, ხოლო მეორე და მესამე კვარტალში კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ვარჯიშები მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში, მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02-05 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 301,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 96,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 31,8%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) შესრულების დაბალი მაჩვენებლით, კერძოდ, 2020 წელს დაგეგმილი 11 სპორტული მოედნის რეაბილიტაციიდან შესრულებულ იქნა ორი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაბამისად დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ვერ შეძლო იმავე წელს.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში ბაქოს ქ. N74-ის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 332,16 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადის უჯრედით, 1 ცალი შესასვლელი კარები, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 261 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი და 2 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით.

ქ. ბათუმი, შარაშიძის ქუჩა #56 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მრავალწლიანი შესყიდვა, სამუშაოები განხორციელდება 2021 წელს.



რეაბილიტაცია - მრავალწლიანი შესყიდვა, სამუშაოები განხორციელდება 2021 წელს.

ქ. ბათუმი, ხახული მე-2 შესახვევი #67-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მრავალწლიანი შესყიდვა, სამუშაოები განხორციელდება 2021 წელს.

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი #2-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს (მომწოდებელს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია შესრულებულ სამუშაოებზე).

ქ. ბათუმი, სვიმონ კანანელი #1 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 317,2 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადით ლითონის დგარზე, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 600 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი და 4 ცალი ელ. სანათი; შეიღება 361,8 კვ.მ. სტადიონის ლითონის კონსტრუქციები და ელემენტები.

ქ. ბათუმი, აფსაროსის გზატკეცილი 3-შესახვევი #4-ის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 357 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადით ლითონის დგარზე, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 739,1 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი და 4 ცალი ელ. სანათი; შეიღება 400 კვ.მ. სტადიონის ლითონის კონსტრუქციები და ელემენტები.

ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის #70-ის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს (მომწოდებელს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია შესრულებულ სამუშაოებზე).

ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. #137/139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობა - მრავალწლიანი შესყიდვა, სამუშაოები განხორციელდება 2021 წელს.

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. #55/57 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს (მომწოდებელს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია შესრულებულ სამუშაოებზე).

ქ. ბათუმი, ანდრონიკაშვილი 49ა (ყოფილი შაფათავას #38) მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს (მომწოდებელს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია შესრულებულ სამუშაოებზე).

ქ. ბათუმში, თამარ მეფის მესამე შესახვევი #2-ის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - სამუშაოების წარმოების დაწყება დაგეგმილია 2021 წლის I კვარტალში.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიმდინარეობს ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა 1 007,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 944,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,7%.

პროგრამის აღწერა:

უზრუნველყოფილია კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი.

პირველ კვარტალში შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მუშაობდნენ რეპერტუარის განახლებაზე და ახალი სასცენო პროგრამების შექმნაზე, თუმცა მომდევნო კვარტლებში, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გაუქმდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 300,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 296,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

პროგრამის აღწერა:

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ევროპის მოედანზე ყოველდღიურად იმართებოდა კონცერტები, პროგრამა მოიცავდა, როგორც საბავშვო ღონისძიებებს, აგრეთვე ბათუმელი ბენდების და ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აქტივობა „ახალი წელი შენს ეზოში“.

- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის ვეტერანებისათვის შეძენილი იქნა სასურსათო პაკეტები;

- 2008 წლის 8-11 აგვისტოს აღინიშნა ომში დაღუპულ მეზრძოლთა ხსოვნის დღე;

➤ მიღწეული შედეგები:

განმტკიცდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი პატივისცემის და უკვდავყოფის გრძნობა. აღნიშნული ტრადიციული ღონისძიებები საინტერესო იყო მოსახლეობისათვის.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 90,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 18,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 20,1%., ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით.

პროგრამის აღწერა:



პირველ კვარტალში დაფინანსდა შემდეგი ეთნიკური წარმომადგენლების ღონისძიებები:

ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ 23 იანვარს ჩატარდა „შუა“ ოსვენცემის გათავისუფლების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ 23 თებერვალს აღინიშნა შოთა რუსთაველის ხსოვნის დღე და „ტუ ბი შვა“-ს (ხეების ახალი წელი); უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები: ლექსის მხატვრული კითხვის ოსტატის კონკურსი, ვიქტორინა; შეხვედრა ვახტანგ ღლონტთან და გენრი დოლიძესთან; დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო; ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები მოაწყო გერმანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა. აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა ვიდადი ახუნდოვის დაბადებიდან 80 წლის იუბილე. მესამე კვარტალში დაფინანსდა შემდეგი ეთნიკური წარმომადგენლების ღონისძიებები: უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები: - ღონისძიება-„მეგობრობა გზად და ხიდად“, რომელიც მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: სპორტული შეჯიბრი „ესტაფეტა“, ხატვის კონკურსი; -საქართველოს კუთხეების გაცნობის მიზნით საექსკურსიო ტურის ორგანიზება (დენდროლოგიური პარკი (შეკვეთილი); მინიატურული საქართველო - (ციცინათელა), ფიჭვნარი- (ქობულეთი), მტირალა-(ჩაქვის თავის ეროვნული პარკი). აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე, დიასპორის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს ლ.უკრაინკასა და ტ.შევჩენკოს ძეგლები; ზეიმი „ლესიობა“, რომელიც ყოველწლიურად სექტემბერში აღინიშნება. სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა სომხური დიასპორის დაარსების 28-ე წლისთავი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მეგობრობის სახლის სათვისტომოების მიერ ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების მიზნით ჩატარებული სხვადასხვა სახელმწიფო, რელიგიური და სხვ. ღონისძიებების ჩატარებამ ხელი შეუწყო ინტეგრაციის ცოცხალ პროცესს. თვითმყოფადობის შენარჩუნების პარალელურად მათში ამაღლდა პატივისცემა და სიყვარული ქვეყნისადმი, რომლის მოქალაქეებიც არიან.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 65,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 45,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 70,0%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

"ქვეპროგრამა წლის განმავლობაში ითვალისწინებდა „საავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF “ განხორციელებას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი საკრებულომ 30/01/2020 წ. გამოსცა განკარგულება #5 „ქალაქ ბათუმის



მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ აღნიშნულ განკარგულების საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა) იპ „ბათუმის ხელოვნების სახლს არგანსა“ შორის „საავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF“ განხორციელების თაობაზე.

„საავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF“ გაიმართა 2020 წლის 21-25 ნოემბერს.

• BIAFF 2020-ის მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ - ლანა ლოლობერიძე – ჟიურის თავჯდომარე, კარმენ გრეი (გერმანია), ლეიტ აბდულამირი (საფრანგეთი), ნიკა აბრამიშვილი (საქართველო), გიორგი ოვაშვილი (საქართველო), გამოავლინა გამარჯვებულები:

- გრანპრი - „ბოროტება არ არსებობს“, მუჰამედ რასულოფი, გერმანია/ირანი/ჩეხეთი, 2020. საუკეთესო რეჟისურა - „ყვითელი კატა“, ადილხან ერზანოვი, ყაზახეთი/საფრანგეთი, 2020; საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ალბერტ სჩუჩი და უელკეტ ბუნგიუ ფილმში - „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“, ბურჰან ქურბანი, გერმანია/ჰოლანდია. საუკეთესო მსახიობი ქალი - მარიჟა სკარიჩიჩი ფილმში - „მარე“ ,ანდრეა სტაკა, შვეიცარია/ხორვატია, 2020;- ჟიურის სპეციალური პრიზი - „პერსონა N2“, ნინო ბასილია, საქართველო/გერმანია, 2020; BIAFF 2020-ის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ჟიურიმ - ნინო კირთაძე (საფრანგეთი / საქართველო) – ჟიურის თავჯდომარე, ქშიშტოფ გიერატი (პოლონეთი), ირინა რომანჩენკო (უკრაინა), მიხეილ კვირიკაძე (საქართველო), შემდეგი პრიზები გასცა: საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - „ვეშაპი ლორინოდან“, მასიეჟ ჩუსკე, პოლონეთი, 2019; ჟიურის სპეციალური პრიზი - „დისკვალიფიცირებული“, ჰამზა ოუნი, ტუნისი/საფრანგეთი/ყატარი, 2020; BIAFF 2020-ის ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ - ლელა ოჩიაური, თეო ხატიაშვილი, არჩილ შუბაშვილი, გამოვლინა კინოკრიტიკოსთა რჩეული ფილმი: საუკეთესო მხატვრული ფილმი - „სიკვდილის პირას“, ჰილალ ბაიდაროვი, აზერბაიჯანი/აშშ/მექსიკა, 2020;

• BIAFF 2020-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის ჟიურიმ - მოკლემეტრაჟიანი ფილმების და COVIDEO საკონკურსო სექციის ფილმები შეაფასა. ჟიური სამი წევრისგან შედგებოდა - ოთარ ლითანიშვილი (თავჯდომარე), ზურაბ მაღალაშვილი და დათო ევგენიძე.

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „ლოლო“, მიხალ პიოტროვსკი, პოლონეთ, 2020; ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) - გადაეცა ორ ფილმს:

• „მარადიული ღამე“, პედრო პერალტა, პორტუგალია, 2020; „ფრანები“, სეიედ ჰოსეინი, ირანი, 2020; COVIDEO – მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექცია (პანდემიის დროს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების სპეციალური სექცია). საუკეთესო ფილმი - „1412“, ანა ჯაფარიძე, საქართველო, 2020 - ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) - გადაეცა ორ ფილმს: „მოსაწვევი“, მელთემ ქემილოღლუ, თურქეთი, 2020; 2.20 წთ.

• ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ვოქ შოპები და ტრენინგები, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში ტარდებოდა უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით:

- ნიკოს პანაიოტოპოლოსი (საბერძნეთი).
- ლორან დანილო (საფრანგეთი).



- თამარ ტატიშვილი (საქართველო).
- სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული პლატფორმის (MEETINGS ON THE BRIDGE) დირექტორის (გულინ უსტუნ - მოწვეული ექსპერტი) მიერ, „ალტერნატიულ ტალღაზე“ წარმოდგენილი ერთ-ერთი ქართული პროექტი - „სიჩუმის ქაოსი“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი ნინა შაბურიშვილი) შერჩეული იქნა სტამბულის ინდუსტრიული პლატფორმაში მონაწილეობისთვის, რომელიც 2021 წლს აპრილში გაიმართება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 140,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 128,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას. დამტკიცდა დებულება, შეიქმნა კომისია, მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. კომისიამ საანგარიშო პერიოდში შეარჩია 9 პროექტი, რომლებსაც დაფინანსებაზე გაეწიათ რეკომენდაცია.

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ყველა დროის თანამედროვე“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის გადაღება, რომელიც მიემდგვნა ზურაბ გორგილადის ხსოვნას. ფილმში აისახა მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ბიოგრაფიული დეტალები. ფილმის პრეზენტაციის ჩატარება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე ბათუმის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ასევე საჯარო სკოლებში მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა იხილონ აღნიშნული ფილმი.

ავტორი (ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი თამარის დარბაზი“; ბიუჯეტი - 5000 ლარი; განხორციელების ვადა - 28 ივლისიდან 18 აგვისტომდე; „სიმღერა აჭარაზე“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა კლიპის გადაღება, რომელშიც მონაწილეობენ ცნობილი მომღერლები ლაშა ღლონტი და ლევან ცხომე. კლიპში აისახა აჭარისა და ბათუმის უნიკალური სილამაზე, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ბათუმის პოპულარიზაციას. ავტორი - შპს „ლლლ“; ბიუჯეტი - 9 900 ლარი; განხორციელების ვადა - 1-30 აგვისტო; ბექა გოჩიაშვილი და ნიკოლოზ რაჭველი ბათუმის ცის ქვეშ, ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად“ - ბათუმის ჩოგბურთის კორტეპზე მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ჩატარდა პროექტი, რომელიც წარმოადგენდა თანამედროვე არტისტების საინტერესო კოლაბორაციას. ჯაზისა და სიმფონიური მუსიკის სინთეზი საერთაშორისო აღიარების მუსიკოსების ბექა გოჩიაშვილისა და ნიკოლოზ რაჭველის მიერ შეიქმნა. სცენა ასევე დაეთმო რეპერს-ტატო რუსიას, DI მიშო ურუშაძეს, ახალგაზრდა ვოკალისტს გრიგოლ ყიფშიძეს და ნინი ქათამაძეს. საღამოს დაესწრნენ სხვადასხვა თაობის



ადამიანები, ასევე ქალაქის უცხოელი სტუმრები. ავტორი - შპს „ხელოვანთა კავშირი კონცეპტ-არტი“. ბიუჯეტი - 33 000 ლარი; განხორციელების ვადა- 31 აგვისტო.

"ბათუმი-თბილისის XII ფესტივალი „ღამის სერენადები"- პროექტი ითვალისწინებდა კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის გაღვივებას. ფესტივალის ფარგლებში შედგა სამი ქართველი კომპოზიტორის ახალი ნაწარმოებების საპრემიერო შესრულება; ჩატარდა საკონცერტო საღამო, რომელიც გადაიციმდა ლაივ ფორმატში. ის მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორსა და პედაგოგს სულხან ცინცაძის 95 წლისა და გენიალური კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის 250 წლის იუბილევს. ავტორი - ა(ა)იპ „არტ ალიანსი“. ბიუჯეტი - 34 000 ლარი; განხორციელების ვადა - 27 აგვისტო-4 სექტემბერი; „ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების და მუსიკის ფესტივალი" პროექტი გულისხმობს კლასიკური მუსიკის ფესტივალის ჩატარებას, რომლის ჩვენებაც დაგეგმილია პირდაპირი ტრანსლიაციით,მასში მონაწილეობას მიიღებს თხუთმეტამდე ახალგაზრდა პიანისტი. ფესტივალი ხელს შეუწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას საქართველოში, ასევე ქართველი კომპოზიტორების პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ავტორი- ა(ა)იპ ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა"; ბიუჯეტი- 26 000 ლარი; განხორციელების ვადა - 16-18 ოქტომბერი; „მიზანთროპი"- პროექტის ფარგლებში დადგეგმილია ჯან ბატისტ მოლიერის პიესის „მიზანთროპის" დადგმა ექსპერიმენტულ სივრცეში. პროექტის ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში არსებული პრობლემების ნათლად წარმოჩინებას. ავტორი - შპს „ნოგაკუ“; ბიუჯეტი-4000 ლარი; განხორციელების ვადა - 24 ოქტომბერი-25 ნოემბერი;" „ბათუმის მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალის ფარგლებში განხორციელდება თეატრალურ-ლაბორატორიული კვლევითი პროცესების ხელშეწყობა. ყოველი სპექტაკლის შემდეგ ჩატარდება ონლაინ გამოკითხვები; ექსპერტი მოდერატორის როლში წარმართავს განხილვებს; გარდა ამისა მოხდება სპექტაკლების მსვლელობისას მონიტორინგი/მაყურებელთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული ანკეტა-კითხვარების მეშვეობით, რაც შესაძლებლობას იძლევა შემდგომში ფესტივალის ტექნიკური თუ შინაარსობრივი მხარეების დახვეწისა და განვითარებისა. ავტორი - ა(ა)იპ „როდონტი“; ბიუჯეტი- 11 000 ლარი; განხორციელების ვადა - 25 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე“; „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-15 ფესტივალი" - ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები. ფესტივალი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროპაგანდას; სტუმრები და მონაწილეები დოკუმენტური ფილმების საშუალებით გაეცნობიან ქართულ ტრადიციულ კულტურას. ავტორი- ა(ა)იპ „არტ ალტერნატივა“; ბიუჯეტი- 6999,5 ლარი; განხორციელების ვადა- 5-7 ნოემბერი;" „სულიკო ჟღენტი და ბათუმი“ - პროექტის ფარგლებში ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება ქართველი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის დაბადებიდან 95 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად შემოქმედებითი საღამო; დაიდგმება სპექტაკლი. ბათუმის მერია აღნიშნული პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს, სულიკო ჟღენტის სცენარების მოტივებისა და პირადი ჩანაწერების მიხედვით, წიგნის „სულიკო ჟღენტი და ბათუმი" ელექტრონული ვერსიის მომზადების ხარჯების ანაზღაურებას. ავტორი - ა(ა)იპ ასოციაცია „პატრია"; ბიუჯეტი - 10 000 ლარი; განხორციელების ვადები- 10 სექტემბერი- 10 დეკემბერი;"

➤ მიღწეული შედეგები:



მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიციატივები.

04) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 821,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 818,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,6%.

პროგრამის აღწერა:

ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები 2020 წლის პერიოდში გაუქმდა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ.

➤ მიღწეული შედეგები:

პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა და მხოლოდ გაიცა შრომის ანაზღაურება.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 524,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 460,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,7%.

პროგრამის აღწერა:

ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები 2020 წლის პერიოდში გაუქმდა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ. გაიმართა ღონისძიება „ზაფხული ბათუმში“- პროექტი ბათუმის ბულვარში საზაფხულო თეატრის მიმდებარედ სპეციალურად მოწყობილ სივრცეში მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმელი მომღერლები და ბენდები. ღონისძიებები ყოველდღიურად იმართებოდა და ორი კვირის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა 8 სექტემბერს აჭარის წითელ ზონად გამოცხადების გამო გაუქმდა 8, 9 და 10 სექტემბერს დაგეგმილი კონცერტები.

➤ მიღწეული შედეგები:

'პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა და მხოლოდ გაიცა შრომის ანაზღაურება.

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 316,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 315,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

პროგრამის აღწერა:



ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები 2020 წლის პერიოდში გაუქმდა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ. გაიცა თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა და მხოლოდ გაიცა შრომის ანაზღაურება

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 25,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 23,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება, კერძოდ, გათვალისწინებულია იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მოღვაწეობენ ქ. ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში). ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. თითოეულ მონაწილეზე გათვალისწინებულია დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა.

საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 14 იანვრის #23 ბრძანებით დამტკიცდა ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“/ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულება, ასევე შეიქმნა კომისია. საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 3 განაცხადი, ჩატარდა 1 კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა მიმდინარე წლის იანვრის თვეში შემოსული განაცხადები.

კომისიამ სულ განიხილა 3 განაცხადი, სამივე პირს გაეწია რეკომენდაცია დაფინანსების თაობაზე. კერძოდ, ბათუმელმა სამმა მხატვარმა; მაია ჭყონიამ, ბექა ბოლქვაძემ და ირინა ტორონჯაძემ მონაწილეობა მიიღო ამა წლის 11-16 თებერვალს, საფრანგეთის ქ. პარიზში დაგეგმილ „ფრანგ მხატვართა გამოფენა 2020“ გამოფენაზე, სადაც სხვა მხატვრებთან ერთად წარმოდგენილი იყო მათი ნამუშევრები.

2. წლის ხელოვანი - ითვალისწინებდა კულტურის დარგში მოღვაწე წარმატებული ხელოვანების გამოვლენა-დაჯილდოვებას, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს. ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ჩატარდა კომისია, გამოვლინდა გამარჯვებულები, გაიცა ფულადი ჯილდო და სიგელები. კერძოდ, გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პირები: ნომინაცია „წლის ხელოვანი“: ნატალია ორაგველიძე - 2 000ლარი; მანუჩარ შერვაშიძე - 2 000ლარი.

ნომინაცია „რჩეული ხელოვანი“: ცისანა ანთაძე - 1 500ლარი; მაია ჭყონია - 1 500ლარი; ირინა ტორონჯაძე - 1 500ლარი; ნომინაცია „წლის დებიუტანტი“: ბაჩი მიქელაძე - 500 ლარი; ნომინაცია „დიდოსტატი“: მარიამ ჯახუტაშვილი - 1 000ლარი; მალხაზ კოჩალიძე - 1 000ლარი; ჯემალ გორგილაძე - 1 000ლარი; ნინო ნიჟარაძე - 1 000 ლარი; ოთარ გოგოლიშვილი - 1 000ლარი.



ნომინაცია „წლის კოლექტივი“: რევაზ ლადიძის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი - პრიზით (ფულადი ჯილდოს გარეშე);

ნომინაცია „წლის კულტურის მუშაკი“: ლეილა სურმანიძე – 500 ლარი; ვაჟა ცისკარიძე – 500 ლარი; ნანული ზამბახიძე – 500 ლარი; ლილი ვარშანიძე – 500 ლარი; სეირან ბაროიან – 500 ლარი;

პრიზით „ხელოვანი ბათუმისთვის“: იოსებ ჯორბენაძე –500 ლარი;

„ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასი“ - სადგამით (ფულადი ჯილდოს გარეშე).

აღსანიშნავია ის გარემოება რომ ეპიდ სიტუაციიდან გამომდინარე დაგეგმილი საზეიმო ღონისძიება არ ჩატარდა. სულ ფულადი ჯილდოს შეადგენდა 17 000 ლარს, ხოლო სხვა ორგანიზაციული ხარჯი შეადგენდა 1910 ლარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაიზარდა ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანთა ცნობადობა; აღნიშნული შედეგის მიღწევა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 918,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 886,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

"საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზების მიმართულებით ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვებას, აღრიცხვა-დამუშავებას და საკატალოგო მეურნეობის წარმოებას საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. იქმნება მონაცემთა ბაზა, წარმოებს საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკა, ხორციელდება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა,

ელექტრონული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგების შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; განხორციელდა ახალი კრებულის „ბათუმზე“ შექმნისასათვის წიგნში “ბათუმი” შესული ისტორიული შენობების ისტორიების ქართულ ენაზე კორექტირება, ლიტერატურული ნაწარმოებების (პროზა,პოეზია) მოძიება-კორექტირება, რეკლამების სწორად განთავსება, ძველი ისტორიული რეკლამების მოძიება და განთავსება, 100 კომპლექტი გაზეთების აწყობა – დაკაბადოება, ანტივირუსების ერთწლიანი პროგრამის ელექტრონული ლიცენზია Kaspersky 'Security - Multi-Device შეძენა-დაინსტალირება. სერვერისათვის და კომპიუტერებისათვის,ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის შეძენილი იქნა 2 ცალი ნესტის გამწოვი,საბიბლიოთეკო ავეჯი. ელექტრონული ტენდერის საფუძველზე შესყიდული იქნა 1083 ცალი წიგნი, 14774 ლარის ღირებულების; 44 დასახელების - 1011 ცალი ჟურნალი თანხით 5496 ლარი, 25 დასახელების 3026 ცალი გაზეთი თანხით 3423,80 ლარი. სულ 2020 წელში მიღებულია 4037 ჟურნალ-გაზეთი 8919,80 ლარის ღირებულების . კადრების მომზადება-



გადამზადება კვალიფიკაცია აიმაღლა 4 თანამშრომელმა.მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება: შეკეთდა ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის სახურავი და ელექტრო-გაყვანილობება, მთლიანად შეიცვალა ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის კარ-ფანჯრები. ბათუმის მერიამ საჯარო ბიბლიოთეკის ორ თანამშრომელს მიანიჭა „წლის კულტურის მუშაკი“-ს წოდება."

2020 წლეში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა დაგეგმილი დაფინანსებით 7 კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიება და დაფინანსების გარეშე, დისტანციურად 34 სულ 41 ღონისძიება..კერძოდ: პოეტ რეზო სტურუას ლექსის ზეიმი,გიორგი ლეონიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო - „როგორ გამისხლტი ახალგაზრდობავ, და რა ყიჟინით გადიგრიალე“,ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობის „მოხუცი და ზღვა“ განხილვა და ანიმაციური ეკრანიზაცია, შემეცნებითი საუბარი - ფრანგი ფერმწერი კლოდ მონე (დაბადებიდან 180 წლის იუბილის აღსანიშნავად).ამერიკის პრეზიდენტის დღისადმი მიძღვნილი საღამო, საბიბლიოთეკო გაკვეთილი: ნიკო კეცხოველი და საქართველო -„ბევრი გვყავს კაი ყმა, მაგრამ გული კაცისა ხარბია კაი კაცობაშიც ...“ლიტერატურული პერფორმანსი „ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“ - „იჩქარეთ ტფილისში, ვერ წარმოიდგენთ, ეს რა ფუფუნებაა!“ ვირტუალური ლიტერატურული საღამო - „საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე და ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრული სამყარო“,ქართული ენის დღის ვიდეო აღნიშვნა - „ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა!“ ვიდეო წარდგენა - „ჩარლი ჩაპლინის ფილმოგრაფია“, მარკ ტვენის ნაწარმოების „ტომ სოიერის თავგადასავალი“ ვიდეო განხილვა (დაბადებიდან 185 წლის იუბილე),ვირტუალური პოეზიის საღამო „პოეზიის დრო,“ამერიკისმცოდნეობის დოქტორის მარიამ ხატიაშვილის ონლაინ საჯარო ლექცია „ჯაზი - ამერიკული მუსიკალური მიმდინარეობა,“ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო (95) ვირტუალური საღამო - „არავის ვბაძავ, - ესა ვარ რაც ვარ,“ ფილოსოფიის დოქტორის ლალი ანთიძის ვიდეო საჯარო ლექცია მასწავლებლებისათვის (ონლაინ პლატფორმის - ZOOM-ის მეშვეობით) „კრიტიკული აზროვნება, მისი ინდიკატორები“,ახალი წიგნების ვიდეო წარდგენა,მწერალ გიორგი კეკელიძის SMS – პოეზიის – მეტაფორული აზროვნების მინიატიურული ნიმუშების ვიდეო წარდგენა,

ვიდეო საბიბლიოთეკო გაკვეთილი: „ხალხის ნაერთი ძალა - მიწიერი „სასწაულია,“ვიდეო შეხვედრა პოეტ იაშა თანდილავასთან (დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით), პროფესორ ნაირა ტაბიძის ვიდეო ლექცია „საიდან იწყება სამშობლო“,პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ვიდეო ლექცია: "26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე",ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვიდეო ზღაპრის „მუმინების ხეობა და მისი ბინადარნი“ ჩვენება (ტუვე იანსონის წიგნების მიხედვით) „მსოფლიოში ყველაზე საბავშვო დღესასწაული,“ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვიდეო - „პატარების ღიმილი და ბედნიერი სახეები - ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად,“80 წლის იუბილესთან დაკავშირებით პირდაპირი ეთერი დაეთმო პოეტ ცისანა ანთაძეს - „ცხოვრება თვითონ გვთავაზობს მუსიკას, რომელსაც ფეხი უნდა ავუწყოთ,“ ბიბლიოთეკის ფონდში დაცული ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნების, დისკებზე ჩაწერილი ხმოვანი წიგნების მიზნობრივი აუდიტორიისათვის ვიდეო წარდგენა,მწერალ აკაკი მახარაძის ახალი წიგნის (ტრილოგია) „იდუმალი ფრონტის რაინდი“ ვიდეო წარდგენა,მწერალ ოტია იოსელიანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ვიდეო მიმართვა - „გაზაფხული უმერცხლოდაც მოვა, მერცხალი არ მოვა უგაზაფხულოდ,“ პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ვიდეო



ლექცია: „ ბათუმის ისტორიიდან,“ ვირტუალური ლიტერატურული სადამო - „ აკაკი და ქართველი თერგდალეულები“ (აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლის იუბილის აღსანიშნავად)კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტის გახსენება - „მთავარია არა ის, თუ როგორ იცოცხლე სიკვდილამდე, არამედ ... როგორი სახით შერჩები მარადისობას ..." (დაბადებიდან 95 წელთან დაკავშირებით). ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სადამო, პოეზიის ვირტუალური სადამო, ახალი წიგნების წარდგენა, შემეცნებითო ვიდეო საუბარი "საფოსტო მარკა ქვეყნის სავიზიტო ბარათია", შეხვედრა პოეტ ბადრი თევზაძესთან, ვიდეო საუბარი მწერალ და „ფოლკლორისტ ვახუშტი კოკტეტიშვილზე, ამერიკულ კუთხეში ჟანა სირბილამის ვიდეო ლექცია, ნინო ხარატიშვილის წიგნის ვიდეო წარდგენა, ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ უცხოურ ენებზე, ანა მჭავანაძის პრეზენტაცია. წლის ბიბლიოთეკაში წარმატებით განხორციელდა 1000-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის აქტივობა.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება: დაიწყო ბიბლიოთეკის სახურავის და ელექტრო-გაყვანილობების შეკეთება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. გაზრდილია ბექდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 335,1 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 315,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია - მოეწყო 67,4 კვ.მ. I სართულის სართულშუა გადახურვა, 122,2 კვ.მ. გრანდული იატაკის ფიცარი, 54,8 კვ.მ. შუშაბანდის კონსტრუქცია, 70 კვ.მ. აივანი, 3,7 კვ.მ. კედელი, 44,7 კვ.მ. ფანჯრის ბლოკები, 17,22 კარის ბლოკები, 4,1 კვ.მ. კარი, 54,8 კვ.მ. შუშაბანდის კონსტრუქცია, 24,6 კვ.მ. მოაჯირი, 274 კვ.მ. სახურავი, 357 კვ.მ. ბეტონის ფილა, 219,7 კვ.მ. იატაკი, 6 ცალი ბაზალტის ქვის ტუმბოები, 70 კვ.მ. აივანი, ერთი ერთეული ძაღოვანი კარადა, 6 ცალი ორპოლუსა ყუთი, 13 ცალი სანათი, 8 ცალი ბრა, 6 ცალი ერთკლავიანი ჩამრთველი, 20 ცალი ნათურა, 170 გრმ.მ. კაბელი, 50 გრმ.მ. პლასტმასის მილი, 65 გრმ.მ. საკაბელო კორობი, 3 ცალი დამიწების ელექტროდი კუთხოვანა, 12 გრმ.მ. ზოლოვანი ფოლადი, 15 ცალი გამანაწილებელი კოლოფი, სხვადასხვა ზომის 122,5 გრმ.მ. წყალსადენი მილები და სხვადასხვა ზომის 124,5 გრმ.მ. საკანალიზაციო მილები; კედლის დაზიანებული ნაწილების პროფილირებულ და ორნამენტულ დეტალებს ლოკალური რესტავრაცია ჩაუტარდა ადგილზე დაძვევით - 3788 დმ2; დაზიანებულ თაბაშირის პროფილირებულ და დეკორატიულ ელემენტებს ჩაუტარდა აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოები - 4794 დმ2; აღდგენილ იქნა



კედლის 561 დმ2 დეკორატიულ-ორნამენტული დეტალები და რელიეფური ქანდაკებები; შეიღება 608 კვ.მ. კედელი, 10 კვ.მ. ფანჯრის ბლოკები და 74,2 კვ.მ. ჭერი.

შენობის სარეაბილიტაციო სამუშოების საავტორო ზედამხედველობა - განხორციელდა შენობის სარეაბილიტაციო სამუშოების საავტორო ზედამხედველობა.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 19,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 40,8%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით.

➤ პროგრამის აღწერა:

1. „ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის“ ფარგლებში საანგარიშო წლის პირველ კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაციები სვადასხვა მომსახურებების შესყიდვის მიზნით, კერძოდ: ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის სანიტარიულ ჰიგიენური მოვლა-პატრონობის, ელექტრიკისა და სანტექნიკის მომსახურების, ინტერნეტ-მომსახურების, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის თაობაზე, გამოცხადდა და შედგა ტენდერები. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა შესყიდული მომსახურებების მოწოდება. მეორე კვარტალში ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ახალგაზრდული ცენტრის საოფისე ფართში არანაირი აქტივობა ან შეკრება არ განხორციელებულა, შესაბამისად ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის სანიტარიულ ჰიგიენური მოვლა-პატრონობის, ელექტრიკისა და სანტექნიკის მომსახურების, ინტერნეტ-მომსახურების, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება შეჩერებულია და არ განხორციელებულა მომსახურების მიღება, ანუ არ წარმოშობილა შესაბამისი ხარჯი. განხორციელდა მხოლოდ ელექტრო ენერჯის (რადგან ლიფტი უნდა იყოს ჩართულ მდგომარეობაში) მოხმარების შედეგად დაგროვილი დავალიანებების დაფარვა.

2. ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა. საანგარიშო წლის I კვარტალი ღონისძიების „ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში მ.წ. პირველ კვარტალში მომზადდა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მ.წ. 29 იანვრის №66 ბრძანებით დამკვიცდა ღონისძიების დებულება, განცხადების სააპლკაციო, ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების ფორმა, ხელშეკრულების პროექტი. მ/წ იანვრის თვეში შემოვიდა ორი განაცხადი. კონკურსში მონაწილეობის



მიღების მიზნით, განაცხადები შემოიტანეს ფიზიკურმა პირებმა: მარიამ გუჯაბიძემ, პროექტი „ფორუმ-თეატრი სკოლის მოსწავლეებისათვის“ და ზალინა გორგილაძემ, პროექტი „ცხოვრების სკოლა-ექსპერიმენტების სკოლა“. მ.წ. 12 თებერვალს გაიმართა საკონკურსო სხდომა და ორივე კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად. მ/წ თებერვლის თვეში შემოვიდა ხუთი განაცხადი. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, განაცხადები შემოიტანეს ფიზიკურმა პირებმა: ცოტნე ბათაძემ, პროექტი - „სტუდენტური დებატები“; ნინო ვარშანიძემ, პროექტი - „სეზონური საერთაშორისო სკოლა ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსდაცვით განათლება“; ანრი ჯაფარიძემ, პროექტი - „ქალაქ ბათუმის საკალათბურთო ფესტივალი 2005-2006 წწ. დაბადებულთა შორის“; ნიკოლოზ კიკვაძემ, პროექტი - „ქუჩის კალათბურთი“ და გიორგი კოხრეიძემ პროექტი - „ობიექტივი“. კომისიის სხდომა გაიმართა მ.წ.12 მარტს, ხუთივე კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად. თუმცა შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, კომისიის შედეგები გაუქმდა.

"პროექტის „ფორუმ-თეატრი სკოლის მოსწავლეებისათვის“ ფარგლებში მოზარდების წინაშე სკოლაში და სკოლის გარეთ არსებულ პრობლემატურ საკითხებთან, ბულინგთან დაკავშირებით მ.წ.20-28 თებერვალის ჩათვლით ქ. ბათუმის N18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „სოციალური თეატრი სკოლის მოსწავლეებისათვის“. პროექტის მიზანი იყო ფორუმ-თეატრის მეთოდოლოგიის გამოყენებით მოზარდების წინაშე სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული პრობლემატური საკითხების მოგვარების, მშვიდობიანი, არამალადობრივი გზების ძიება, მოსწავლეების მიერ სასკოლო და სკოლის გარეთ ცხოვრებაში მათი როლის, უფლებების, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების გააზრება; მოსწავლეებში საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესება; მათი პიროვნული თვისებების, ტალანტების წარმოჩენა; ლიდერული უნარების გამომუშავება; მოსწავლეებში კრეატიული აზროვნების განვითარება. პროექტი წარმატებით განხორციელდა, თითოეული დღე ახალგაზრდებისათვის იყო საინტერესო, მრავალფეროვანი და პროდუქტიული. მოეწყო ახალგაზრდების შეხვედრა მოზარდთა ფსიქოლოგ - ირმა ფეიქრიშვილთან; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთან - თამარ ვარშალომიძესთან თემაზე - „მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები“; ფორუმ-თეატრის სერთიფიცირებული ფასილიტატორთან - ზალინა გორგილაძესთან ერთად ახალგაზრდები ჩერთნენ აუგუსტო ბოალის თამაშებში, ნახეს და განიხილეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სხვადასხვა სახისა და ხასიათის ბულინგთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე 28 თებერვალს აუდიენციამ იხილა ახალგაზრდების მონაწილეობით, მათ მიერვე დაწერილი რეალური ისტორიების ამსახველი სცენარების მიხედვით 10-15 წუთიანი დადგმები, რომლებშიც აცოხლებდნენ რეალურ ისტორიებს. თითოეული სცენის გათამაშებას მოჰყვებოდა დისკუსია და დამსწრე აუდიტორიის მიერ, ნეიტრალურ პერსონაჟთა ჩანცვლება წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის მშვიდობიანი, არამალადობრივი გზების ძიების მიზნით. პროექტით დასინტერესდა მედია, კერძოდ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი „რადიოვიზია“, რომელმაც 3 წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა აღნიშნულ პროექტს. პროექტში მონაწილეობა მიიღო 35 ახალგაზრდამ."

პროექტი „ცხოვრების სკოლა - ექსპერიმენტების სკოლა" მიმდინარეობდა მ.წ. 22 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით პერიოდში. პროექტი გამოდგა ნაყოფიერი და ეფექტური მასში ჩართული ადამიანებისთვის, ჯამში პროექტში მონაწილეობა მიიღო 105 ახალგაზრდამ (80 ტრენინგების მონაწილეები, 25 ვიდეო-ექსპერიმენტების



მონაწილეები) 80-მა ახალგაზრდამ შეძლო პროფესიონალთა დახმარებით აემალღებინათ თავიანთი ცოდნა, უნარ-ჩვევები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. მათ თავისუფალ, პრაქტიკულ და საინტერესო სივცეში ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ თემებთან დაკავშირებით: ფინანსების მართვა და ფინანსური დამოუკიდებლობა; ურთიერთობების ფსიქოლოგია; სტრესი/დეპრესია/მენტალური ჯანმრთელობა; თვითშეფასება/კომპლექსები. ტრენინგები გახლდათ მოზარდთა ფსიქოლოგი - ირმა ფეიქრიშვილი და აგრეთვე ფსიქოლოგი ზურაბ ქარჩავა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ვიდეო-ექსპერიმენტების ნაწილი, რომელშიც დამატებით სხვა 25 ადამიანი ჩაერთო, ვიდეოები აიტვირთა სოციალურ ქსელში. პროექტის ბოლოს მონაწილეებმა შეავსეს უკუკავშირის კითხვარი, მათთვის ტრენინგები იყო პრაქტიკული ცოდნის მომცემი, საინტერესო და მრავალფეროვანი. პროექტით დაინტერესდა აჭარის რადიო.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი, განვითარებასა და თვითგამოხატვაზე ორიენტირებული უსაფრთხო ფიზიკური და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე; ახალგაზრდები დამოუკიდებლად ახდენენ იდეის ინიცირებას, მართვასა და განხორციელებას.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 15,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1) ღონისძიების ინტელექტუალური - თამაში "რა? სად? როდის?" ფარგლებში საანგარიშო წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება. კერძოდ: მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და შედგა ტენდერი ქ. ბათუმში, ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში მონაწილეებისათვის სასაჩუქრე წიგნების შეძენის თაობაზე; მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და შედგა ტენდერი ქ. ბათუმში, ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში მონაწილეთათვის სასაჩუქრე თასების შეძენის ორგანიზების თაობაზე. განხორციელდა საქონლის მოწოდება და ფინანსური ანგარიშსწორება. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია გამარტივებული შესყიდვისათვის ღონისძიების „რა? სად? როდის?“ ორგანიზების თაობაზე და გაფორმდა ხელშეკრულება. ჩატარდა ერთი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 53-მა გუნდმა, ჯამში 400 მონაწილით. ფინალურ ეტაპში გადავიდა 24 ფინალური გუნდი, რომელთაგან საპრიზო ადგილები გადაინაწილეს შემდეგმა გუნდებმა: I საპრიზო ადგილზე გავიდა გუნდი „26-ე საათი“; II აგილზე გავიდა გუნდი - „ბოკა სუნიორსი“, ხოლო III საპრიზო ადგილზე გავიდა გუნდი - „გრანდმასტერი“. გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცათ სასაჩუქრე თასები და წიგნები, ხოლო საანგარიშო წლის მეოთხე კვარტალში ჩატარდა მოსწავლეთა ლიგისა და სტუდენტთა ლიგის თამაშები:

მოსწავლეთა ლიგის თამაშებში მონაწილეობდა 11 გუნდი - პირველი ადგილზე გავიდა გუნდი „პირველები“ - საბა ოკუჯავა 56 ქულა; მეორე ადგილზე გავიდა გუნდი



„ვირუსი“ - ზურა სურმანიძე 51 ქულა; მესამე ადგილზე გავიდა გუნდი „დეკალოგი“ - სანდრო მამულაძე 42 ქულა.

სტუდენტური თამაშებში მონაწილეობდა 13 გუნდი - პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „აკადემია“; თორნიკე ქოქოლაძე -> 50 ქულა.

მეორე ადგილზე გავიდა გუნდი „ნონგრატა“ ვახტანგ ქობულაძე -> 47 ქულა;

